# ლომისი

რედაქცია
ტფილისი, ხელოვანთა სასახლე სერგიევის ქ. № 13. ტელ. 17—51.

სამი თვით 200 ათასი მანეთი
განცხადების ფასი: პირველ გვერდზე ნომპარელით: სამოცი ათასი მ.; ტექსტის შემდეგ: ოცდა ათი ათასი მ.

კვირა.
მარტის 11
1923.

ფასი 20.000 მ.

№ 28. სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველ კვირეული გაზეთი № 28.


## ლიტერატურული ნიჰილიზმი

5.

როგორც მკითხველიც შეამჩნევს, ჩვენს წერილებში ლაპარაკი გვიხდება არა მარტო წმინდა ლიტერატურულ მოვლენებზე, არამედ თვით საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის ამა თუ იმ მნიშვნელოვან მომენტებზედაც. თუ მწერლობას შეეხებით, ძალა-უნებურად გადახვალთ თვით საზოგადოებრივი ურთიერთობის სურათის გათვალისწინებაზე, ვინაიდან უამისუროთოდ შეუძლებელია ლიტერატურული მსვლელობის გზა-კვალის შეგნება. ლიტერატურული ნიჰილიზმიკი ერთი ფორმათაგანია საერთო საზოგადოებრივ—ეროვნული ნიჰილიზმის, რომელიც თავიდანვე ძლიერი იყო თვით სინამდვილეში. მწერლობაში ის ნახულობდა უმთავრესად ირიბულ გამოხატულებას, უარყოფითად დახასიათებას და გამოაშკარავებას, თუმცა დრო გამოშვებით, მესამოცე წლებიდან უკანასკნელ ხანამდე, მას პირდაპირი დამცველებიც უჩნდებოდენ. ეროვნული მწერლობა კი, რამდენადაც ღირსი იყო თავის სახელწოდების, უპირველეს ყოვლისა ემსახურებოდა ხალხის კულტურულ თვითგამტკიცებასა და აღორძინებას.

იდეოლოგიური ნიჰილიზმი, რომელიც ჩვენს ისედაც გადუხჭირებულ და უარყოფის გზაზე შემდგარ საზოგადოებრივ ცხოვრებას აღარ ეჭირვებოდა, შემოვიდა ჩვენში რუსეთიდანვე და მისი თვალსაჩინო წარმომადგენელი პუბლიცისტურ მწერლობაში იყო ანტონ ფურცელაძე. იგი სხვებთან ერთად რუსეთის მესამოცე წლების გამოჩენილი ნიჰილისტების და მათი მეთაურის პისარევის აზრებით გაიმსჭვალა და უარმყოფელი ცელით მიადგა ყოველივე იმას, რაც სწორედ დადებითი და ხელმოსაკიდებელი იყო ეროვნულ ცხოვრების აღორძინებისათვის. საყურადღებო ის არის, რომ ანტონ ფურცელაძე პუბლიცისტურ ნაწერებში ამჟღავნებს თავის ნიჰილისტურ მსოფლ-მხედველობას; ვერც იმას დავმალავთ, რომ ამ მოძღვრებას ის ლოღიკური თანმიმყოლობით თავის ხანგრძლივ პუბლიცისტურ მოღვაწეობის განმავლობაში ვერ იცავს, თუმცა ბოლომდი შერჩა მას ერთგვარი ნიჰილისტური სულიერი განწყობილება ჩვენი ეროვნული ცხოვრების ვითარების მიმართ.

რუსეთში ამტყდარი ბრძოლა „მამებსა“ და „შვილებს“ შორის ნიჰილიზმთან არის დაკავშირებული. რუსეთის მოწინავე საზოგადოება ორად გაიყო. ერთში მოჰყვნენ ძველები, „მამები“, მეორეში—ახლები, „შვილები“, უარმყოფლები. ბრძოლის გამწვავებას მოჰყვა გადაჭარბება. უკიდურესობამდე მისული ნიჰილისტური მიმართულება პისარევის სახით უარჰყოფს და ასამარებს ძველ კულტურულ „ღმერთებს“, რომელთა შორის არიან პუშკინი, შექსპირი, ჰეინე და სხვ. მათს პოეზიას სინჯავენ მხოლოდ წაღების და სიგარის სარგებლობის თვალსაზრისით და, რა თქმა უნდა, დასკვნაც შესაფერი გამოჰყავთ: ძირს ძველი კულტურაო. მაგრამ ვინაიდან კულტურა ბოლოს და ბოლოს ყოველთვის „ძველია“, წარსულის შექმნილი ღირებულებაა, მათ ბრძოლას არსებითად, მიუხედავად სუბიექტური სურვილებისა, ანტიკულტურული უარმყოფელობითი მნიშვნელობა და ხასიათი მიეცა. მაგრამ ამ უარმყოფელ მიმართულებას და მის რიხიან შეტევას ყოველივე ძველის წინააღმდეგ პოლიტიკურად და საზოგადოებრივად მაშინდელ სახელმწიფურ წესწყობილების პირობებში სულ სხვაგვარი გამოხმაურება მოჰყვა. იგი მეტად მიმზიდველი გახდა ახალგაზდობისათვის, რომლის მოციქულად პისარევი შეიქმნა. ამ ახალგაზდა მწერალმა, ილია ჭავჭავაძის თქმით, ბევრი მოზარდი ყმაწვილი ჩაითრია და ბრმად აიყოლია. პისარევის მიმზიდველ ძალას ვერც ჩვენებურები გადაურჩნენ.

აი ერთი უპირველესი ამ „ჩვენებურთაგანი“ იყო ანტონ ფურცელაძე, რომელმაც ივ. კერესელიძის ძველი „ცისკრის“ „განახლებულ“ ფურცლებიდან დაუშინა ყუმბარები მაშინდელ ჩვენს ეროვნულ მწერლობას და მის საუკეთესო წარმომადგენლებს. მას აზრად არ მოსდის მთავარი ყურადღება მიაქციოს დაცვას ჩვენი ეროვნული ვინაობისას, რომელსაც თვალწინ გადაგვარების საშინელი აჩრდილი ატუზვია.

მაგრამ სანამ ანტონ ფურცელაძის ნიჰილისტური კრიტიკის და პუბლიცისტიკის ნიმუშებს მოვიყვანდეთ და დავაფასებდეთ, საჭიროდ მივაჩნია ჯერ დავუგდოთ ყური იმას, თუ როგორ ესმოდა საკითხი ჩვენებურ უარმყოფელობის უდიდეს უარმყოფელს და მთლიანობის გამამტკიცებელს—ილია ჭავჭავაძეს.

იგი სწერს: თუმცა „მამების“ და „შვილების“ ბრძოლამ რუსეთში, ბრმად აიყოლია ჩვენებური ყმაწვილკაცობა და იმ ბრმად აყოლილებმა ეგ ბრძოლა ჩვენშიაც გადმოიტანეს, მაგრამ ჩვენის ყმაწვილ-კაცების სასახელოდ ესეც უნდა ვთქვათ, რომ მათგანმა თითო-ოროლამ გამოინაპირა და თავისი შეცდომა მალე იცნო. გამოვიდა და ცალკე გუნდად დადგა ცხოვრების მოედანზედ. მას აქეთ ჩვენშიაც ყმაწვილ-კაცობა ორ ბანაკად გაიყო: ერთში მოექცნენ ისინი, ვისაც რუსეთის უარმყოფელის მიმართულებიდამ ფრაზების გარდა არა გამოუტანიათ-რა, მეორეში ახალის გუნდის მომხრენი. პირველებმა დაიხვიეს ხელზედ რუსეთის „მამა-შვილობა“, ენაზედ დაიკრეს უარმყოფელი ფრაზები და დღეს აქამომდე აწიოწოს იძახიან და იოლად მიდიან. მეორეები-კი დააკვირდნენ ჩვენის ქვეყნის ვითარებისა და ნახეს, რომ ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. სცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ღაღადებს და მაშასადამე ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელი თავისის ძალ-ღონითა და თუ აქაც ბედისწერას ისე არ გადავრჩებოდით, რომ „მამა-შვილობა“ არ გამართულიყო, ბრძოლის საგანად ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო და „მამებს და შვილებს“ შუა მიჯნად დადებულიყო. ის „სხვა რამე“ იყო ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება... იმ ახალმა გუნდმა მთელი თავისი ღონე მაგ საგანს მიმართა, მაგ ახალმა მიმართულებამ დაიპყრა მთელი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა... საუკეთესო წარმომადგენელნი ჩვენის პოეზიისა, სულ მაგას გვამხელდნენ, მაგას გვიგალობებდნენ დღეს აქამომდე. მართალია, ჩვენის „ვინაობის“ აღსადგენად მაგ ახალს გუნდს ბევრი არა უქმნია რა, რადგანაც ამისათვის საჭირო მეცნიერებაში და ცოდნაში კარგა ქვეითობდნენ, მაგრამ ისიც დიდი საქმეა, რომ მაგ მიმართულებას მიაგნეს და ჩვენს ცხოვრებაში ცოტად თუ ბევრად ფეხი მოაკიდებინეს. ისიც დიდი ამბავი იქნება, თუ ამ გუნდმა ამ საგანზედ მოახედა ჩვენი ალმაცერად მაყურებელი თვალი და რაც ძალ-ღონეა, სულ მაგ საქმეს ზედ მოახვია და შეჰჭიდა. რაც ვერ ქმნეს ამათ, იქმონენ სხვანი, ოღონდ ამ მიმართულებამ თავი დაიჭიროს ჩვენს ცხოვრებაში, ღრმად გაიკეთოს ძირი და იმოქმედოს ვიდრე საჭიროება მოითხოვს. ყოველი ჭეშმარიტი ლიბერალი, ჩვენი კაცი, დღესაც მარტო მაგ მიმართულების მიმდევარი უნდა იყოს ჩვენში. ნურავის ნუ ჰგონია, რომ ეგ მიმართულება რადგანაც დიდი ხნისაა, იმიტომ ძველია და რადგანაც ძველია, იმიტომ უკადრისია და სათაკილო ლიბერალებისათვის. დეე ოთხ ფრაზიანმა ლიბერალმა ეგრე იფიქროს, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს. ყველამ ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველი საგანი, რაც ჩვენი ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოვლისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკია, თუ თეატრი ყველაფერს სულ მაგისაკენ უნდა მოვუბრუნოთ თავი... ჩვენებური რეტროგრადი ის უნდა იყოს, ვინც ამ ჩვენის დღევანდელის დღის მღაღადებელს ხმას არ გაუგონებს, ყურს მოუყრუებს და არ აჰყვება. გინდათ „მამა“ დაარქვით ამისთანა კაცს, გინდათ „შვილი“, აქ სახელწოდება არაფერ შუაშია. ოღონდ ეს კი ვიცოდეთ, რომ მაგისთანა კაცი ჩვენი კაცი არ არის. („ივერია“. 1881. № V. შ. მიმოხილვა).

პანი.

## ალკეოს და საპფო

პირველ კონსერვატორიაში ტფილ. სახ. უნივერსიტეტის პროფესორმა გრ. ფ. წერეთელმა წაიკითხა საინტერესო ლექცია: „ალკეოს და საპფო“, რომლის მოკლე შინაარსს აქვე ვათავსებთ:

მე VI საუკ. ქრ. წ. ლესბოსის კუნძული წარმოადგენს დიდ პოლიტიკურ მღელვარებათა ასპარეზს, სადაც ბოლოს და ბოლოს ვითარდება პიტტაკოსის დიქტატურა. ამ პოლიტიკურ განწყობილებათა და მოუწყობელობის პოეტური გამომხატველი იყო **ალკეოსი**, პოეტი—არისტოკრატი, მტერი ყოველგვარი სახალხო მოძრაობათა, ტირან ხელმძღვანელებისა და თვით ზომიერი პიტტაკოსისაც კი. ალკეოსის მთელი ცხოვრება ბრძოლაში მიმდინარეობდა, რომლის მიზანიც იყო მოეპოვებინა გამარჯვება წარჩინებულთათვის და ოლიგარხია დაემყარებინა. მაგრამ ალკეოსისათვის ბრძოლა დამარცხებით გათავდა. ხალხმა გაიმარჯვა და წარჩინებულთა ხელისუფლება დამხობილ იქმნა. ბევრი გაჭირვება ხვდა წილად ალკეოსს ზღვაზე ხეტიალში და უცხო ქვეყნებში, მაგრამ დაბოლოს იგი შეწყნარებულ იქმნა პიტტაკოსის მიერ და ნება მიიღო დაბრუნებულიყო სამშობლოში. პიტტაკოსი ჰფიქრობდა, რომ „მიტევება უფრო სასტიკია, ვიდრე შურის ძიება“. პოლიტიკური ბრძოლა იყო მთავარი წყარო ალკეოსის აღმაფრენაში. ამის გავლენის ქვეშ არის დაწერილი მისი „**ბრძოლის ლექსები**“. მაგრამ მხოლოდ ბრძოლა არ იყო მისი შემოქმედების საგანი. ალკეოსს ამოძრავებდა სხვა გრძნობებიც: მეგობრობა და სიყვარული ისახებოდა მის შემოქმედებაში და აღფთოვანებდა მას. ბრძოლის ყიჟინასთან ერთად ალკეოსის ლექსებში გაისმოდა აგრეთვე სხვა ხმებიც: ღვინით მხიარულება და მშვიდად ბაასი მეგობრებთან. ესენი აძლევენ შინაარსს მის „**სანადიმო ლექსებს**“.

ალკეოსის შემოქმედების თავისებურობა მოთავსებულია მისი ლექსების ძლიერებაში და გამომეტყველებაში, თვალსაჩინოობაში და რელიეფობაში მის მიერ დახატულ სურათებში, გრძნობის გულწრფელობაში, გაქანებულ და ამობოქრებულ ტონებში და ნამდვილ ცხოვრების სწრაფად მოცემაში. სამაგიეროდ ალკეოსს არა აქვს ანალიზის ნიჭი, აკლია სათანადო დაკვირვება და სიღრმე. იგი **მომენტის** პოეტია: ჭეშმარიტი ეოლოსის არფაა, რომელიც გადმოგვცემს ეოველს სუნთქვას გამოქანებულ სიოსას.

ალკეოსის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს მისი თანამედროვე **საპფო**. მის შემოქმედებაში არ ისახება პოლიტიკა. საპფო იმდენად ეხება პოლიტიკას, რამდენადაც ეს უკანასკნელი ახდენს გავლენას მისი ცხოვრების გარეგან მოვლენებზე და მის წყობილებაზე. როგორც არისტოკრატი, ისიც განდევნილ იქმნა სამშობლოდან და დევნა დიდხანს გრძელდებოდა. მაგრამ ეს გარემოება მაინც არ იწვევს საპფოს შემოქმედებაში მძაფრ გამოძახილს. საპფო სულ სხვა სამყაროში ცხოვრობს: მისი პოეტური აღმაფრენა ქალურ განცდებისა და ქალის ბედის ირგვლივ ტრიალებს. და ეს მხარე იყო მეტად ფართო და მადლიერი. ქალის მდგომარეობა კონძულ ლესბოსზე შედარებით თავისუფალი იყო. ქალთა შორის განვითარებული იყო ჯგუფური [illegible]. ქალები ერთდებოდნენ ჯგუფებში, ცხოვრობდნენ ჯგუფური ცხოვრებით და სწავლობდნენ უმთავრესად პოეზიას. ერთ ასეთ ჯგუფს სათავეში საპფო უდგა. ამ ჯგუფის ცხოვრება მდიდარ მასალას აძლევდა საპფოს შემოქმედებას. მის ლექსებში ისახებოდა ყველაფერი ის, რაც აწუხებდა და ეხებოდა ამ ჯგუფის წევრებს, რომელთაც „მეგობრები“ ერქვათ. მრავალმხრივი ურთიერთშორის დამოკიდებულება ამ ჯგუფში, სრულიად ბუნებრივად, გამოიხატებოდა არა მხოლოდ „ღალმერთებაში“, არამედ სიყვარულშიცა და ეჭვიანობაში, ყველაფერი ეს საპფოს პოეზიაში ჰპოვებდა გამოძახილს და ამ მხრივ საპფოს პოეზია შეიძლება ორად გაიყოს: „**სიყვარულის ლექსები**“ და „**ლექსები ქალის ბედზე**“. პირველში საპფო სიყვარულის ანალიზს ახდენს, მისი ჩასახებით დაწყებული და ამ გრძნობის სხვა და სხვა გამოვლინებით გათავებული. საპფო უცქერის სიყვარულს, როგორც მთავარ მამოძრავებელ ძალას ქალის სულის ისტორიაში. იგი მომენტის პოეტი კი არ არის, როგორც ალკეოსი,—იგი ჭეშმარიტი **ფსიქოლოგია**. ამაშია ძალა საპფოსი, მაგრამ იგი სხვაგანაც ძლიერია. საპფოს ლექსები განირჩევიან თავის მოხდენილობით, ლექსის მუსიკალობით, განწყობილების მრავალგვარობით, გულწრფელობით, ფორმის სისრულით და სიღრმით. მასში არ არის შფოთვა ალკეოსისა. მას სულ სხვა რამ ახასიათებს: ვნებიანობა და გრძნობათა აფეთქება ერთი მეორეს სცვლიან. საპფოს სახე, როგორც ჩვენ იგი მისი ლექსებით გვეხატება, ირჩევა თავისი კეთილშობილობით, ღირსებით და ზნეობრივ სიფაქიზით. ასეთივე წარმოდგენის იყვნენ მასზე ბერძნულ აზროვნების საუკეთესო წარმომადგენელნი, როგორც მაგ. **პლატონი** და მისი თანამედროვენი: ესენი მას უწოდებდნენ „**წმინდას**“ და როგორც ქალღმერთს „**ნულობელს**“. საზოგადოდ საპფო და ალკეოსი შეიძლება ჩაითვალოს „**მონოდიურ**“ ლირიკის საუკეთესო წარმომადგენლებად. ამაზე დიდი ამ ლირიკას არავინ წარმოუშვია!

## მებრძოლი სული

### კარლ მარქსი

(1883 წ.—14 მარტი—1923 წ.)

ჯიბლჯნი შეგობარს...

ორმოცი წელიწადი გავიდა მარქსის სიკვდილის შემდეგ. ორმოცი წელიწადი მარქსისთვის, მარქსის ისტორიული მნიშვნელობისთვის იგივეა რაც ერთი წუთი საუკუნეებისთვის. ის არის საკვირველი ქანდაკება, საკვირველი მოქანდაკის ნაწარმოები. ის არ იყენებს თავის გარეშემო დროს და სივრცის ჩარჩოებს. დედამიწაზე ამართული, ის ციური სიმაღლიდან დაჰყურებს წარსულს, აწმყოს და მომავალს. თითქო განგებას გამოუწვევია კაცობრიობა,—რისი შემძლე ხარ შენო, და კაცობრიობას პასუხი მიუცია მარქსით. მარქსში გამოუკვეთია ისტორიას შემოქმედებით ძალები მთელი კაცობრიობის. იმის პიროვნებაში გამოსახულა კაცობრიობის უკვდავი მისწრაფება მშვენიერებისადმი.

მარქსს ჩვენ ვერ შევხედავთ კლასობრივი თვალთახედვით. ის არ ეკუთნის ერთ კლასს. კლასობრივ უჭკუობას შეუძლია მისი მიკუთნება ერთი კლასისთვის. ვინც მარქსის სახელით ამბობს,—აქამდის შენ იყავი, ახლა მე უნდა ვიყოო,—იმას ანბანიც არ გაეგება მარქსის. მარქსისთვის კლასი იყო საშუალება, კაცობრიობა იყო მიზანი.

მარქსი კაცობრიული ძიების მსოფლიო მხედველობაა [illegible] ძიება ტარიელის, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაუვლია თავისი გზა, ეს არის მოგზაურობა დანტესი, რომელიც ჯერ კიდევ არ გასცილებია ჯოჯხეთიდან გასავალ კარებს, ეს არის მოუსვენრობა ფაუსტის, რომელსაც ჯერ კიდევ არ მოუკლავს შემეცნების წყურვილი. მარქსი პირისპირ შეხვდა კაცობრიობის წყეულ კითხვებს და მიუგო:—სინამდვილის ჯოჯოხეთი უნდა გარდაიქმნეს იმ სამოთხეთ, რომელშიაც ანათებს „ბეატრიჩეს“ მშვენიერება, სინამდვილეში უნდა შეინგრეს ის „საქაჯეთი,“ რომელშიაც ტყვეობს მშვენიერი „ნესტან დარეჯანი,“ სინამდვილეშია, ადამიანურ გონებაშია ის „მეფისტოფელი,“ რომელიც აქეზებს ადამიანს, ულვიძებს შემეცნების წყურვილს და წინ მიუძღვის შემეცნების გზაზეო.

კაცობრიობის მიზანია სინამდვილის გარდაქმნა. სინამდვილეს თანდაყოლილ თვისებათ ახლავს თავისი თავის უარყოფა. შეისწავლეთ ეს თვისება და ხელში გექნებათ იარაღი, რომელიც უნდა იხმაროთ გარდაჰქმნისათვის ბრძოლაში. რაც უფრო საფუძვლიანათ შეისწავლება სინამდვილე, მით უფრო მჭრელი გამოდგება სინამდვილის გარდასაქმნელი იარაღი. ამ ქმნა-გარდაქმნის პროცეში სინამდვილე იქცევა ახალ სინამდვილეთ, ახალი კიდევ ახლათ, თავდება ერთი ძიება, იწყება მეორე, ამაშია სიცოცხლე და უკვდავება სიცოცხლის.

მარქსმა დაგვანახვა თავისი პირადი მაგალითით, რომ ამ დაუსრულებელ ძიებაში მოაზრე და მებრძოლი ადამიანისთვის არაფერი არ არის შეუძლებელი. მარქსის მოძღვრებაში ერთი მეორეზე გადაგრეხილია უკიდურესი რეალიზმი და უკიდურესი იდეალიზმი. ის მიჰყვებოდა სინამდვილეს ძირამდის, მისი თვალისთვის არა იყო რა დაუნახავი, მისი ყურისთვის არა იყო რა გაუგონარი, მის დაკვირვებას არ ეპარებოდა არც ერთი წერტილი სინამდვილეში, არც ერთი ხაზი სინამდვილის განვითარების. მარქსის მეცნიერული რეალიზმი დაუშრეტელი წყაროა მარქსის იდეალისტური გატაცების. ის გატაცებული იყო ბრძოლით. სწამდა რომ ბრძოლა არ დარჩება მიზან მიუღწეველი. აწმყოს მეცნიერულ შესწავლაზე ის ამყარებდა მომავლის უსაზღვრო რწმენას.

მარქსი მოევლინა კაცობრიობას ახალ სარწმუნოებით იესო ქრისტეს შემდეგ. იესო ქრისტე იყო რელიგია თავმოხრის და მორჩილების, მარქსი არის და იქნება რელიგია ბრძოლის და თავმოუხრელობის. მარქსი ამბობდა:—ისტორიული აუცილებლობაა კაპიტალიზმი, მაგრამ ასეთივე აუცილებლობაა ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ისტორიული აუცილებლობაა ერთი ადამიანის ძალმომრეობა მეორე ადამიანზე, მაგრამ ასეთივე აუცილებლობაა ბრძოლა ამ ძალმომრეობის წინააღმდეგო. მშრომელი ხალხი იბრძვის, არ შეუძლია არ იბრძოლოს. ბრძოლის ნება დიდია იმდენათ, რამდენათაც დიდია ბრძოლის აუცილებლობა. მარქსმა ერთ ძაფათ ჩააქსოვა თავის მოძღვრებაში აუცილებლობა და თავისუფალი ნება. შეურყეველია ჩემი ნება მაშინ, როცა ის აუცილებელიც არის, ჩემი ნდომა მაშინ არის ძლიერი, როცა არ შემიძლია არ მინდოდეს. ვინც თავის ნდომას ადვილათ მოიცილიებს, ის მებრძოლათ არ ვარგებულა, მისი ნებისყოფა არაფრათ არ ღირებულა.

მარქსი იდგა ბრძოლის გზაზე მუდამ ცეცხლ შენთებული ნდომით, აზრით და გრძნობით. მის აზრში ქუხდა გრძნობა, მის გრძნობაში ჰქდა აზრი, მისი ნაა[illegible]ევი, ნაგრძნობ[illegible] [illegible]ედიოდა მისი ნდომის სამჭედლოში და იქცეოდა ცოცხალ საქმეთ. მარქსი იყო უმაგალითო მთლიანობა აზრის, გრძნობის და ნდომის. ეს ქმნიდა მხატვრობათ მთელ მის მეცნიერულ კვლევა-ძიებას, ეს ხდიდა მშვენიერებათ მთელ მის საზოგადოებრივ და კერძო ცხოვრებას. მარქსი ხელოვნებაა, თუ ხელოვნება ნიშნავს სინამდვილის გარდაქმნას და არა უბრალო ასლის აღებას სინამდვილისგან. ხელოვნებაა მარქსის მოძღვრება, თუ ხელოვნება მიზნათ ისახავს სინამდვილის შემეცნებას და კრიტიკას. კრიტიკული შემეცნების და გარდაქმნის თეორიაა თითეული სტრიქონი მარქსის ნაწერების „კაპიტალიდან“ უკანასკნელ საგაზეთო წერილამდე. მარქსის თეორია, როგორც უდიდესი მხატვრული ნაწარმოები, იხედება წინ საუკუნოების ფარდებში, როგორც ნამდვილი ხელოვნება ის წინასწარმეტყველებაა. მარქსის თეორიით, როცა იდეალი, მისწრაფება არ დგას სინამდვილის საფუძველზე, როცა სინამდვილეს ერთი მსვლელობა აქვს და ბრძოლა სისინამდვილის გარდასაქმნელათ დაყენებულია მეორე ხაზზე, მაშინ არ მოხერხდება სინამდვილის გარდაქმნა იდეალის მიხედვით, პირიქით, სინამდვილე გარდაქმნის თავის მიხედვით იდეალს და ბრძოლას გადაიყვანს იმ გზაზე, რომელიც არ შედიოდა მებრძოლის განზრახვებში. ჩვენმა დრომ მოგვცა საუკეთესო გამართლება ამ წინასწარმეტყველების.

მარქსის დამოკიდებულება სინამდვილესთან არ არის უბრალო ხედვა, ეს არ არის მარტო შთაბეჭდილების მიღება სინამდვილისგან და უმოქმედო განცდა ამ შთაბეჭდილების ქვეშ. მარქსის დამოკიდებულება სინამდვილესთან არის მომქმედი, აქტიური.

ხედვა ეს მხოლოდ შესავალი კარებია იმისთვის. ამ კარებით ის შედის თავის მეცნიერულ ლაბარატორიაში, იქ ამუშავებს, ასახიერებს სინამდვილისგან მიღებულ შთაბეჭდილებებს, იქ მის ხელში სინამდვილე იქცევა ნედლ მასალათ, რომლისგანაც მისი შემოქმედებითი აზრი ქმნის ახალ სინამდვილეს და წინ გვიყენებს ბრძოლის მიზნათ.—ერთ ისტორიულ ხანაში ის გვაძლევს მკაფიო სახეს მეორე, შორი ისტორიული ხანისას. ამაშია წინასწარმეტყველიური ძალა მარქსის შემოქმედების.

აქამდის მხოლოდ ხედნავდნენ ქვეყნიერებას, ჩვენი მიზანია შევცვალოდ ქვეყნიერებაო, — ამბობდა მარქსი. ქვეყნიერების შეცვლა, ახალი სამყაროების შექმნა,—ეს არის ნამდვილი ხელოვნების მიზანიც. ამიტომ არ არსებობს ხელოვნება მემარჯვენე და მემარცხენე. ნამდვილი ხელოვნება თავის თავად „მემარცხენეა", თუ ის ყურმოჭრილად არ ემონება ბედის საზღვრებს, თუ ის გამოდის ამ საზღვრებიდან, თუ ის მორწმუნე მოციქულივით არ შეჩერებია სინამდვილეს, თუ შეურყეველ და მიუწდომელ ღვთაებათ არ მიაჩნია ეს სინამდვილე.

ამისთანა „მემარცხენე" ხელოვნებას, რა თქმა უნდა, ვერ მოგვცემს ცარიელი „მემარცხენეობა". ხელოვნებასთან არაფერი აქვს საერთო იმ სურათს, რომელიც არ არის გამოსული სულის და გულის სიღრმიდან, რომელიც ზერელე გრძნობებს ელაქუცება. კედელზე გასაკრავ „მემარცხენე მხატვრობას" მარქსი არ ჩააგდებდა ნამდვილ ხელოვნებათ.

ვისაც მარქსის თეორია გაგებული აქვს, ის ვერ იტყვის, რომ არსებობს ხელოვნება ბურჟუაზიული და პროლეტარული, პირველი ემსახურება ბურჟუაზიის ინტერესებს, მეორე — მშრომელ ხალხს. არც ის სწერია მარქსის თეორიაში, რომ აქამდის „ბურჟუები" პოეტობდენ, აწი პროლეტარებმა უნდა იპოეტონო.

ბურჟუაზიულ ხანას ეკუთვნიან, მაგალითად, ჰიუგო, გიოტე, ემილ ზოლა, მოპასანი, მაგრამ მათ მხატვრობაში არ არის დაცვა ბურჟუაზიის, მათი ისარი ხვდება ბურჟუაზიულ გულ-მკერდს. თავად-აზნაურობის ხანას ეკუთვნის, მაგალითად, ი. ტურგენევი, მაგრამ მის დიდსა და პატარა მოთხრობებში წესი ეგება თავად-აზნაურობის ბუდეებს. ფეოდალურ ბურჟუაზიული დროის შვილია, მაგალითად, ლ. ტოლსტოი, მაგრამ მთელი მისი მხატვრობა რევოლიუციაა ფეოდალურ ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ, თუმცა, როგორც მოაზრეს, ჭირივით ეჯავრებოდა რევოლიუციონური თეორიები, ფეოდალური დროიდან გამოვიდნენ ჩვენი: ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, მაგრამ ვინც ფიქრობს, რომ ისინი უგალობდნენ ფეოდალურ საქართველოს, იმას არ აქვს უნარი მხატვრული მწერლობის გაგების.

პროლეტარული მწერლობა არ არსებობდა იმ დროებში, როცა ბურჟუაზიული მწერლები ობიექტიურათ ემსახურებოდენ მშრომელი ხალხის ინტერესებს. ჯერ კიდევ დიდი, დიდი დრო უნდა, სანამ პროლეტარული ხელოვნება ავიდოეს ვ. ჰიუგოს, ემ. ზოლას, ტურგენევის, ტოლსტოის სურათებამდის, ილია ჭავჭავაძის „ტვირთ მძიმე და მაშვრალთ მხსნელამდის", აკაკი წერეთლის „მოშაირობამდე", ხელოვნებაში მარქსის თეორია არ შედის ისეთი საზომით, როგორითაც ის შედიოდა პოლიტიკაში და პუბლიცისტიკაში. ერთი და იგივე მწერლები ხშირად პოლიტიკურ პუბლიცისტურ წერილებში იცავს ერთ იდეალს, მხატვრულ ნაწერებში სულ წინააღმდეგს.

მარქსის თეორია იძლევა ამ წინააღმდეგობის ახსნას. პოლიტიკურ-პუბლიცისტურ ასპარეზზე მწერალს წინ უსწრებს აზრი, ის სდგას წინდაწინ აღებულ თვალთხედვით წერტილზე და აქედან ათვალიერებს ამა თუ იმ მოვლენებს. სხვადასხვა მწერალი სხვადასხვა ნაირად აფასებს ერთსა და იმავე მოვლენას. აქ მწერალი თავის თავათ ემორჩილება იმ ჯგუფის, წრის, კლასის მსოფლმხედველობას, ის აქ ნაწილია თავისი კოლექტივის. მხატვრულ შემოქმედებას კი სარჩულად უდევს პირადი განცდა. მხატვარი პირად განცდაში დამოუკიდებელია, არ გამოდის, არ უნდა გამოდიოდეს წინ და წინ აღებული აზრიდან. პირადი განცდა არის სტიქიური, თავისუფალი, ბუნებრივი. ბუნებრივად, შეუგნებლად მიდის მხატვრული შემოქმედების პროცესი აზრამდის. აზრი შედეგია ამ პროცესის და არა მისი წინამძღოლი, ხელოვნებათ არ ჩაითვლება ის ნაწარმოები, რომელიც წინ წასწრებული აზრის მიხედვით ასხვაფერებს სინამდვილეს. აზრის წინწასწრება დიდ მხატვრებსაც უშლის ხელს. პუშკინის, მაგალითად, О чем шумите вы народные вытьязи, ან აკაკი წერეთლის „ჩემი ქმუნვა" არ არის ისეთი ნაწარმოები, რომლითაც შეუძლია იამაყოს მხატვრულ შემოქმედებას.

მაგრამ პირადი განცდა შეუძლებელია სინამდვილის გარეშე. სინამდვილე იტეხება მხატვრის სულიერ განწყობილებაში და იკვეთება სახეებათ. ამ სახეებით იცნობა ესა თუ ის დრო, ისტორიული ხანა, გაითვალისწინება მთელი მიმდინარეობა ამა თუ იმ დროის და ისტორიული ხანის. მხატვრის სულიერი განწყობილება არ არის მარტო მიმღები, ის არის მიმცემიც. ის იღებს სინამდვილეს და გვიბრუნებს განახლებულად, გარდაქმნილად. უცვლელად არ რჩება არც სინამდვილე და არც სულიერი განწყობილება. ერთი მეორესთან მუდმივ დამოკიდებულების პროცესში მუდამ იცვლება ერთიც და მეორეც. ამ დამოკიდებულების გარედ არ არსებობს მხატვრული შემოქმედება. რაც უნდა შორს გვეგონოს სინამდვილისაგან ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები, ის მაინც სინამდვილესთან არის გაერთიანებული. არ მოიყვანება ხელოვნების ისტორიიდან არც ერთი მაგალითი, რომელიც უარჰყოფდეს ამ დებულებას. ხელოვნება არ ემორჩილება არც ერთ პოლიტიკურ მიმართულებას, არც ერთ საზოგადოებრივ აზრს დედა-მიწაზე, მაგრამ დედა-მიწაში იკვესება ის ცეცხლი, რომელსაც ხელოვნების პრომეთეოსი ართმევს ღვთაებას და აწოდებს კაცობრიობას.

მარქსის თეორია მუცელში არ ეძებს ამა თუ იმ ესთეტიურ გემოვნების ახსნას, კუჭის მოთხოვნილებით არ ხსნის ამა თუ იმ მიმართულებას მხატვრულ შემოქმედებაში. ეს ასე ჰგონია ზოგიერთ „მარქსისტს," მაგრამ მარქსი არ იყო ამისთანა მარქსისტი. მარქსი არ გადააქცევდა ხელოვნების ტაძარს პოლიტიკურ სავაჭრო სახლად. მარქსს არ სწამდა არც განყენებული, უაზრო და უსისხლხორცო ხელოვნება, მარქსის თეორია არაფრად აგდებს იმ მშვენიერებას, რომელიც ფეხქვეშ ეგება აზრს, მარქსის თეორიით მშვენიერება თავისთავათაა აზრი, რომელიც მებრძოლ სულათ ევლინება დასაფლავებულ ქვეყნიერებას და იწვევს მკვდრეთით აღდგომისაკენ. მებრძოლი სულით ენათესავება მარქსი მშვენიერებას და თანამედროვე სინამდვილის ქაოსში შორიდან გვეჩვენება განახლებულ სინამდვილის სახედ. ჩვენი დღეების სავალ გზაზე ეს მუდამ ახალგაზრდა მებრძოლი სულით გვეძლევა ისეთ ძალათ, რომლითაც... „ჩვენ უნდა ვშობოდ ჩვენი მყობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს".

S.

## ჩემი მოგონებები

2.

**იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი**

იაკობ გოგებაშვილს მესამოცე წლების მოღვაწეებში ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს, როგორც პედაგოგს, პუბლიცისტს და საზოგადო მოღვაწეს.

ის დაიბადა გორის მაზრის სოფ. ვარიანში სვიმონ მღვდლის გოგებაშვილის ოჯახში. მამა მისი სვიმონი მშვენიერი სახის კაცი იყო.

იაკობი უფროსი შვილი იყო სვიმონ მღვდლისა; სემინარიაში სწავლის დამთავრების შემდეგ იგი, როგორც პირველი შეგირდი, სახელმწიფო ხარჯით გაგზავნეს კიევის სასულიერო აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ ჩამოვიდა სამშობლოში. როგორც მახსოვს, იაკობი მოვიდა გორის სასულიერო სასწავლებელში. სადაც ადგილის შოვნა სურდა, მაგრამ მისდა საბედნიეროდ, ადგილი იშოვნა ტფილისის სასულიერო სასწავლებელში. იაკობი ივანე მაჩაბლისებური პიროვნება იყო: ისეთივე ფხიზელი, სწრაფი მოლაპარაკე, ცქვიტი, პირუთვნელი, მტყუანის კარებამდე მიმყოლი, უმაღლესი პატრიოტი და მამულიშვილი. სამშობლოს წინააღმდეგ თუ რამე დაისტამბებოდა რუსეთის, თუ ტფილისის დროგამოშვებით გამოცემებში, მაშინვე მიხვიით დაეძგერებოდა.

იაკობი ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დანიშნეს იმ დროს, როდესაც რუსეთში, ყირიმის ომის შემდეგ, ახალმა სიომ დაჰბერა, რუსეთი განახლების გზას დაადგა; ლიტერატურამ, მწერლებმა ფარდა ახადეს რუსეთის ბნელ ცხოვრებას და დაუწყეს მას წამლობა.

ამ დროს ასპარეზზე გამოდის ნიკოლოზ პირაგოვი, რომელმაც დაჰგმო მაშინდელი სწავლა-აღზრდის საქმე თავის თხზულებაში — „ცხოვრების საკითხები". ამ წერილებმა დიდი ალიაქოთი ჩააგდო რუსეთის საზოგადოებაში. მაშინდელმა რუსეთის გამოჩენილმა კრიტიკოსმა ნ. დობროლიუბოვმა რამდენიმე წერილი უძღვნა „სოვრემენიკში" პირაგოვის წერილებსა და საზოგადოდ მის მოღვაწეობასა. რასაკვირველია, ჩვენს ფხიზელს, ახალგაზრდა პედაგოგს იაკობს ეს პირაგოვის გამოსვლა არ გამოეპარებოდა. ჩვენს სასწავლებელში „როზგი" და ცემა-ტყეპა იყო გამეფებული. იაკობი შეებრძოლა და მოსპო თავის სასწავლებელში „როზგი" და ყველანაირი დასჯა, რის გამო ბევრი უსიამოვნობა თურმე შეხვდა მას მასწავლებლებისაგან, რომელნიც ვერ ელეოდნენ ძველ ჩვეულებას. თვით ძალიან სასტიკად ექცეოდა მოსწავლეებს, ე. ი. სიტყვით სტუქსავდა და სთხოვდა წესიერებას; შეაჩვია ბავშვები საბავშო წიგნების კითხვას, ასე რომ მისი შეგირდები ერთობ შეგნებულნი იყვნენ, განვითარებულნი და სემინარიაში ყველა სხვა სასწავლებლების მოწაფეებზე მაღლა იდგნენ ცოდნით და შეგნებით.

იაკობი რუსეთიდან ჯანგატეხილი ჩამოვიდა, სხვა უფრო ადრე გამოესალმებოდა წუთისოფელს, მაგრამ მან აქაც თავის თავს მკაცრი დისციპლინა დაუწესა: სცხოვრობდა ნორმალურად და დიეტის დაცვით. იმ დროს, სამოციან წლებში, ტფილისში საკმაოდ მოიპოვებოდა ქართველი ახალგაზრდობა: გამოდიოდა „დროება" ს. მესხის რედაქტორობით; აქ იყვნენ თავმოყრილნი: ს. მესხი, გ. წერეთელი, აკაკი, ანტონ ფურცელაძე (ფსევდონიმით „ზურაბ მოენიძე",) პეტრე უმიკაშვილი. ილია ჭავჭავაძე მაშინ ტფილისში აღარ იყო და აღარც სწერდა. (მე მოგახსენებთ 1867 წ. ამბავსა). ჯერ არც ნიკალაძე იყო ჩამოსული. ამ ზემოდ დასახელებულ ჯგუფს მოემატნენ ნიკოლოზ (კოლა) ყიფიანი, დიმიტრის შვილი, და ლევან მღებროვი, ტომით გორელი სომეხი, მაგრამ ქართველებთან განუყრელი, ეს ორნი პეტროგრადის უნივერსიტეტიდან დაითხოვეს და გამოგზავნეს ტფილისში. აი ესენი ყველანი იკრიბებოდნენ იაკობთან, რომელიც იდგა სემინარიის ზემო სართულში ეხლანდელ ლორის-მელიქოვის ქუჩისაკენ; ამათ ამ წელში, ე. ი. 1867 წ. დაემატნენ მოსკოვის აკადემიის კურს დამთავრებულნი ნიკო ცხვედაძე, გიორგი იოსელიანი და კიევიდან თომა ტურიაშვილი. იაკობის სახელი სწორეთ სტანკევიჩის სახელი იყო; ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ მასთან; ჩვენ, სემინარიის შეგირდები, ბურსაში მცხოვრებნი, იაკობის სადგომის პირდაპირ ოთახებში ვცხოვრობდით. იაკობთან დაიარებოდნენ სემინარიის უფროსი კლასის მოწაფეებიც. იმათ გამოჰქონდათ იაკობის სახლში აღძრულ კითხვების შინაარსი. მთელი მათი აზრი ტრიალებდა სამშობლო ქვეყნის, ენის, ლიტერატურის გარშემო. ამ ხანებში ნიკო ნიკოლაძეც გაჩნდა საფრანგეთიდან და დაიწყო სრულიად ახალი ხანა ჩვენის მწერლობისა, ხანა ალორძინებისა. იაკობს ერთი უპირველესი ადგილი ეჭირა ამ ჯგუფში. როგორც იაკობს, ისე სხვა ქართველ მასწავლებლებს, შემოჰქონდათ კლასებში ახალ-ახალი წერილები ჩვენი მაშინდელი მწერლებისა, განსაკუთრებით ილიასი, გვიკითხავდნენ კლასებში ჩუმათ, რომ სემინარიის მთავრობას არ გაეგო. ამ გარემოებამ დიდი გავლენა იქონია მაშინდელ მოწაფეებზე, რომელთაც სემინარიაში გამოსცეს ხელთნაწერი ჟურნალი „შრომა". ამ იაკობთან მავალი ჯგუფის გავლენით აღიზარდნენ სემინარიაში რამდენიმე მწერალი: ნიკო ლომაური, იოსებ ბაქრაძე, გიორგი უთურგაული, იონა მეუნარგია, სხვათა შორის მეც, ამ სტრიქონების დამწერი, და სხვანი. ბოლოს და ბოლოს ჩვენც გავეცანით იაკობს, ღამ-ღამობით ჩუმათ შევდიოდით მასთან. იგი დიდის ხალისით გადმოგვცემდა ხოლმე ჩვენი მწერლების ახალ-ახალი ნაწარმოების შინაარსს და ხშირათ წიგნებსაც მოგვაწოდებდა ხოლმე.

ბოლოს მთავრობამ შეიტყო იაკობის და ქართველ მასწავლებელთა მუშაობა ქართველ შეგირდების გათვითცნობიერების შესახებ; ასტყდა დევნა და სრულიად დაითხოვეს ყველანი. მაშინ იაკობი უფრო მუყაითად შეუდგა ქართულ სახელმძღვანელოების შედგენას... იაკობი ნამდვილი დარაჯი იყო ყველა ქართული ახლად დაწყებული საქმისა. თუ ვინმე გადელობებოდა ამ დაწყებულს საქმესა, იგი უპასუხოთ არ გაუშვებდა, რუსულს ჟურნალ-გაზეთებში აძლევდა პასუხსა „**ვარიანელის**" ფსევდონიმით.

ალექსანდრე მეორის მოკლის შემდეგ ყველგან საშინელი რეაქცია გამეფდა. ჩვენ ქართველებს ხომ უფრო მოგვიჭირეს მუხრუჭი; ქართული ენის ჭაჭანება არ იყო; მაგრამ იაკობი, როგორც პედაგოგი, გაუმკლავდა ამ რეაქციას; იგი წიგნს წიგნზე სცემდა მოზრდილი თაობისათვის; გამოსცა საწერი „დედაენაც" 1884 წელში, მაგრამ დ. კეზელი, (ზოილის ფსევდონიმით,) ყოველივე ქართულს დაწყობილობას ჰკიცხავდა რუსულ გაზეთებში. როცა „დედაენა" გამოსცა, შემომჩივლა დაღალვა, მე ვურჩიე მოსულიყო ზაფხულში სოფ. ხიდისთავს (ქ. გორის ახლო.) და დაესვენა. იაკობმა ამის და „დედაენის" შესახებ 1884 წ. ენკენისთვის 13-ს წერილი მომწერა, რომელიც ჩემს არხივში ინახება.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ იაკობი უპასუხოთ არ დატოვებდა, თუ ვინმე ქართველი ერის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. ერთი ხანა იყო ოთხმოციან წლებში, რომ ქართულ ენას დაუწყეს დევნა, ქართული დროშა შეურაცხყვეს და სხვა ამ გვარები. იაკობმა გაამზადა ორი რუსული წერილი მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებში დასაბეჭდათ და გამომიგზავნა წერილით 1887 წ. ივნისის 12-ს, მთხოვდა გადაწერას, მეც გადავუწერე და საჩქაროდ გაუგზავნე.

იაკობი ერთობ ფიცხი იყო: თუ წერილს რედაქცია მაშინვე არ დაუბეჭდავდა, შემოსწყრებოდა და რომ ხვეწნიყავით, აღარას მოგაწოდებდათ. მე მუდმივ ვთანამშრომლობდი „ივერიაში" ალ. სარაჯიშვილის რედაქტორობის დროსაც, გრ. ყიფშიძესთან ერთად. რაღაც წერილი მოეტანა ყიფშიძესთან დასაბეჭდათ, იმას მივიწყებოდა და მე მომწერა იაკობმა სასტიკი წერილი: გთხოვთ ეგ რვეული ჩემის ბიჭის ხელით უკან დამიბრუნოთ, მე მას „ივერიაში" ველარ დავბეჭდავ, თუნდ ერთხმივ მთხოვოთ. მერე წერილით 22 ივნისიდან 1903 წ. დამიბარა ქაშუეთის ეკლესიის მაღაზიებთან მოსალაპარაკებლად. ლაპარაკი შეეხო იმის წერილს, რომელიც ყიფშიძეს ჯერ არ წაეკითხნა. და დროზე ვერ დაბეჭდა. ეს წერილი ეხებოდა დეკანოზ ვოსტორგოვის ხრიკებს ქართველების დევნაზე. ბევრი ვეხვეწე, ვარწმუნე, რომ განზრახ არ მოგვსვლია მაგ წერილის დაუბეჭდაობა. ცოტა მოლბა, მაგრამ წერილი მაინც არ მომცა.

*

იმ კერძო წერილში, რომელიც მე მომწერა 1884 წელს ეხება დ. კეზელს.

## ხორცი

**პირველი ნაჭერის მინაწონი.**

მეზობლად მდგარი მიცვალებულის ამხანაგი ქალიც შემოვიდა.

ელიბოს ტირილმა ისიც გაახარა.

თვითაც წაიცრემლა და ამითი ეგონა, ელიბოს მწუხარებასაც სამსუბუქო გზა მისცა.

ელიბოს საფლავის გათხრაზე წასვლა თითქო დაავიწვდა.

მეგობრებსაც ეგ უნდოდათ.

დროც მოვიდა და პირდაპირ ეკლესიისკენ გაემართნენ მიცვალებულის დასამარხად.

დამარხვაზე არაფერი შესამჩნევი არ მომხდარა.

ელიბოს კარგათ ეჭირა თავი.

ცრემლი სდიოდა.

პირ-იქით ეხლა თვითონ შველოდა მიცვალებულის ამხანაგ ქალს, რომელსაც კუბოს საფლავში ჩაშვებისას, კინალამ გული წაუვიდა.

მეოთხე საათზე დაბრუნდნენ სახლში.

უკანა კიბიდან ავიდნენ თავიანთ ბინაზე:

ელიბო და მიცვალებულის ამხანაგი ქალი.

პატივის მცემელთ მხოლოდ ეზოს ჭიშკრამდე მიაცილეს ორივენი.

სამზარეულოზე უნდა გაევლოთ.

ჰაიკანუში აქ იყო. ღუმელთან ფუსფუსებდა. თანაზიარად შეხვდა მოსულთ.

ქვაბებს ოხშივარი ასდიოდა. მადის ამძვრელი, გემრიელი სუნი ტრიალებდა სამზარეულოში.

მობევვილი სუკის ნაჭრები ტაფაზე „ბივშტექსათ" იბრაწებოდა.

დერეფანში ერთი მეორეს უნდა განშორებოდნენ: ელიბო და მიცვალებულის ამხანაგი ქალი.

მათი თვალები თითქო გამოსათხოვრად შეხვდა ერთმანეთს.

ამ ოთხ წყვილ „სულის სარკეში„ სევდიანი მშვიდობიანობა იყო ჩამდგარი. საყვარელ არსების დაკარგვას ორივენი თითქო დაეობლებინა და ამ შეხედვით ორთავემ რაღაც მახლობლობა იგრძნეს.

თავ-თავიანთ ოთახში შევიდნენ.

ელიბომ მოიშილიფა და კუთხის რბილ სავარძელში ჩაჯდა.

კვლავ გაუშტერდა თვალები. თავში აზრი არ იყო, გულში—სურვილი.

ის აღარ იყო ამ ქვეყნად, ვინც მის ცხოვრებას ფერს აძლევდა და სურნელებას.

— ეხლა რაღა? ეხლა რაღა?

მხოლოდ ეს სიტყვები მიმოიძროდენ ელიბოს შეგნებაში.

სხვაფრივ მარტო სიცარიელეს მოეცვა ყოველივე.

ჰაიკანუშამ კარები შემოაღო და სუფრა გაშალა.

წვენის გემრიელი სუნი. დაბრაწული „ბივშტექსი".

გასჭრა.

ელიბომ გაიღო გემო. მექანიკურად, ანგარიშ-მიუცემლად თითქო, მაგრამ ფიზიკურად კი იგრძნო ხორცი, იგრძნო გაძღომა.

ნასადილევს სრულიად მოეშვა. აპატია და ძილი.

ძილში კი იწყო ცხოვრება ქვე-შეგნებამ:

ადამიანის გვამი ფართო მაგიდაზეა გაშოტილი. სახე ვერ იცნო ელიბომ ამ ადამიანისა. მისი საყვარელი არსება?.. ჰოცა და არაც. კარგათ ვერ არჩევს... მაგრამ უცნაური ამბავი: გიორგა-ყასაბი ადგას თავზე... ელიბო შორიდან იცნობს გიორგას... მეზობლათ არის, ხშირად ჩაუვლია მისი „ქარხნის" გვერდით... იცის, რომ გიორგასაგან მოტანილ ხორცსა სჭამს... ეხლა ეს გიორგა თავს ადგას დიდი, ალესილი დანით ადამიანის გვამს და სჭრის ასო-ასო...

რამდენი ხორცია!.. მთელი ზედაგორა. გიორგას იქვე მილიდან წყალი მოუშვია და რეცხს ამ ნაჭრებს ცალკე მოზრდილ თაბახზე.

საშინელებაა! ამდენი ხორცი, ამდენი და თან წყლის შრიალი...

შრრრ... ჩხრრ...

წყალი გადმოდის თაბახიდან, იმსება ოთახი. ადამიანის აკუწული ხორცის ნაჭრები ტივტივებენ ამ წყალში და თანდათან გარს ადგებიან ელიბოს.

ელიბოს სული ეხუთება. ელიბო იხრჩვება და...

შეშფოთებულს გამოეღვიძება.

ცივი ოფლი შუბლზე ენაცურება.

უაზრო თვალები. მიმოხედვა ოთახში.

არა! ჰაერზე უნდა გავიდეს.

ქუჩა. ქვაფენილი. ხალხი. თბილი საღამოა. აგერ გიორგას დუქანი. ხორცი აღარ ჰკიდია სრულიად. მხოლოდ ჩანგლები ბრწყინავენ.

ელიბო მეორე მხარეზე გადავიდა.

საკვირველი საქმე ემართება: საყასბოს შეხედვა ორგანიულ ზიზღს იწვევს, ხორცის გახსენება გულს ურევს. დუქნის ზღრუბლზე მდგომ მომღიმარე გიორგა ყასბისთვისაც ვერ შეუხედნია.

ფუსფუსით გასწია.

ტრამვაის გზა-ჯვარედინთან შედგა. რონოდები მიდი-მოდიან.

ამან თითქო გაართო.

მშვენიერად ჩაცმულმა, მოხდენილმა ქალმა ჩამოუარა. უცხო სურნელება შემოაფრქვია. რონოდაზე ფეხი შესდგა და...

ელიბომ გარკვევით დაინახა: გამონაკვთული, კოხტა ფეხი, ყელიან, რბილ ფეხსაცმელში გამოწყობილი, მის ზემოთ მოკლე, იისფერი გამჭვირვალე, სალუქი წინდა, მხოლოდ წვივის დასაწყისამდე და შემდეგ... ხორცი, შიშველი ხორცი...

ყურებამდე გაწითლდა ელიბო.

თვალი აარიდა. თუმცა რონოდაც დაიძრა და ფეხებიანი ქალი განაშორა მის მხედველობას.

ცუდ გუნებაზე დადგა და სასწრაფოთ შინისაკენ გამოსწია.

კვლავ სამზარეულოზე გაიარა. ღუმელი დადუმებული იყო. თავის მღვდელ-მოქმედება დაესრულებინა, მხოლოდ თაროზე ბრჭიალა, სპილენძის სხვა და სხვა ზომის ქვაბები ჩამორაზმულიყვნენ.

— რამდენი ხორცი იხარშება, იწვება, იხრაკება, რამდენი ამ უმანკო ჭურჭლებში!.. ყოველ დღე, წლიდან წლამდე... გამუდმებით, ერთსა და იმავე დროს... ჩვენს ბინაზე, მეზობლების ბინაზე... ოთხსავე სართულში... მეზობელ სახლებში... მთელ ქალაქში... მთელს რესპუბლიკაში... მთელ ქვეყნიერებაზე... „სტომაქი პარიზისა!" გაახსენდა ემილ ზოლას გიმნაზისტობის დროს წაკითხული რომანი.

თვალი ეზოს სიღრმეს მოხვდა:

ქეციანი ძაღლი რაღაც ძვალსა ღრღნიდა.

ამან მთლად ბოლო მოუღო.

— ხომ არ შევიშალე! ხომ არ შევიშალე!

— ამ შფოთქავი აზრით შეაღო მისი ოთახის კარი.

დილით მძიმე ძილისაგან ძლივს გამოიღვიძა. თვალები ძლივს გაალო, შესწებებოდა. ძილში ეტირნა. ცრემლის ნაგუბარს წამწამები გაეფისა.

მოქანცული წამოდგა. თავს დამტვრეულათ გრძნობდა. სახსრებში ტკივილი იყო გამჯდარი. გონება კი დაწმენდილი იყო. ნაჩვევმა მუშაობის ჟინმა მოუარა. გადახედა ლექციებს. გული ვერც ერთზე ვერ შეუჩერდა. გაახსენდა მისი საყვარელი სტატისტიკა.

— მართლა სად გადავკარგე ჩემი ნამუშევარი... პროფესორმა სანიმუშოდ რომ მომანდო: „ორთა შუა რიცხვით რამდენი დრო ეხარჯება ადამიანს თამბაქოს მოწევაში". ჰმ... რამდენი იცინა მაშინ მარგომ... მარგოო?..

პროჟექტორივით შემოანათა ამ სახელმა ელიბოს შეგრძნობაში.

— სად არის ეხლა?.. როგორ მინდა მჯეროდეს საიქიო... მისი სული ანგელოზებთან უნდა იყვეს... მისი ხორცი, მისი ტურფა სხეული იხრწნება ეხლა... იხრწნება?.. იშლება მატლებად, იფხვნება მტვრად... ქვავდება, წყალდება, ადის ოხშივრად, დნება ორთქლად და ვინ იცის რა სახეს არ ღებულობს... მარგო კი აღარ არის... მისი ხორცსხმულობა აღარ არსებობს... აა!!

ამოიკვნესა. თვალებ-გაფართოებული კვლავ გაქვავდა.

ჰაიკანუშამ ისევ შემოიტანა სადილი.

ხორცი! ხორცი!

ელიბოს გაფართოებულმა თვალებმა დაინახეს.

ზე-წამოიჭრა. საშინელი ხმით დაუყვირა:

— გამაცალეთ, გამაცალეთ! ჰაიკანუშ!.. არ მინდა ხორცი, არა!... არ მინდა!..

ჰაიკანუშ დაფეთებულივით გავარდა. გაოცებულმა არ იცოდა ელიბოს რა მოუვიდა. მიაკითხა ელიბოს მეზობელს, მიცვალებულის ამხანაგ ქალს — შეიძლება იმას მოევლო ელიბოსთვის — მაგრამ შინ არ დახვდა.

ელიბო კი მანამ არ დაცხრა, სანამ შეშინებულ ჰაიკანუშს ოთახიდან ხელუხლები სადილი არ გაატანინა.

მაშინ კი კვლავ მშვიდობა იგრძნო სულში.

რაზედ გაახსენდა?

— მშვენიერი ჩვეულებაა! მიცვალებულის ჭირისუფლები ჩვენში ხორცს არა სჭამენ, ზოგჯერ „ორმოცამდე", სიკვდილიდან 40 დღის დასრულებამდე... რა კარგი მოგონებულია...

ამან თითქო ნუგეში სცა მის ათრთოლებულ სხეულს, ნერვიულათ აძაგძაგებულს.

წელში გაიმართა. გასწორდა. მოსძებნა მისი სტატისტიკა:

„რამდენი დრო ეხარჯება ადამიანს თამბაქოს წევაში".

და კვლავ წარიზიდნენ დიაგრამები, სპირალები, ციფრები, ციფრები დაუსრულებლივ...

ლურჯ-აბაჟურიანი ელექტროს ლამპარი უხვად აფრქვევდა სინათლეს ელიბოს მაგიდას და მასზე დახროვილ ქაღალდებს. მხოლოდ მთელ ოთახს ჰქონდა ნაზი სინათლე გადადებული და ელიბოს ხუჭუჭა თმას მორიდებულ სიციაგეს აძლევდა.

ელიბო ჩაღრმავებული იყო სამუშაოში. კარებზე დაკაკუნება არ გაუგონია.

შემოვიდა მიცვალებულის ამხანაგი ქალი. ჭიქა ჩაი მოუტანა, ცოტა პური და ყველი.

ნელა დაუდგა მაგიდაზე.

მეორე ხელი ქალისა ელიბოს თმას მოხვდა. არ მოუშორებია.

— დაიღლებით, ელიბო, დასუსტდებით... დღეს სადილიც არ მიგირთმევიათ.

ელიბოს რაღაც უცნაურმა ნაკადმა გაჰკრა მთელს ტანში.

ქალის ნაზი ხმა. მისი მოალერსე ხელი თმაზე. მისი მეორე ხელი მაგიდაზე: მკვრივი, ახალგაზრდა.

აიხედა.

უცნაური რამ მოხდა ამ დროს. სასწაული!

ხორცმა მიიზიდა ხორცი და ორი ახალგაზრდა ბაგე შეეწება ერთი მეორეს.

თავბრუ დახვეულ ელიბოს მკერდიდან საოცარი კვნესა აღმოხდა.

თითქო რაღაც წარმტაც სამოთხეში მოხვდა, რომლის სანახაობამ დაატყვევაო.

არ ახსოვს როგორ მოხვდნენ მის რბილ ლოგინზე ორივენი.

ერთხელ კი გაუელვა: მერე, ეს ხომ მარგო არ არის?..

მაგრამ მალე დაიჩრდილა ეს გაგება.

— სად ვიყავ აქამდის... რათ არ ვამჩნევდი... რატომ ეს არ მიყვარდა...

ეს ფრაზები უფრო გაბატონდნენ ელიბოში და ყოველ მის კუნთებს მძლეთა-მძლეთ მოედვნენ...

დიდ-ხანს ისმოდა ტკბილი სულთქმაუში ორი ბედნიერის, თავდავიწყებულის ადამიანისა.

და მორჩა ელიბო.

ხორცმა იხსნა ხორცისაგან.

**შალვა დადიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელმაც რუსულ გაზეთში მის დღენის შესახებ მოათავსა ბიბლიოგრაფიული შენიშვნა და იაკობი ცუდათ მოიხსენია. დავით კეზელი, რომელიც დავით სოსლანის და ზოილის ფსევდონიმებით სწერდა ჯერ ქართულს გაზეთებში და მერე, როდესაც იგი ივ. მაჩაბელმა გამოდევნა თავის „დროებიდან“, შეუფერებელი ფელეტონებისათვის, რუსულს გაზეთებში გადინაცვლა ნიკო ნიკოლაძესთან, — ერთობ ლიროფი მწერალი იყო. უსათუოდ დაეტაკებოდა ჩვენს მოწინავე კაცებსა — ილიას, აკაკის და გოგებაშვილს, თვისს ნამასწავლებლარს. უზნეო წერისათვის ნიკოლაძემაც განდევნა კეზელი თავის გაზეთიდან და მერე შეეკედლა იზმაილოვს „Нов. Обоз“-ში და შემდეგ „ტფილისის ფურცელს“, ხეჩატუროვების გაზეთსა. კეზელმა რამდენჯერმე გაილაშქრა იაკობის სახელმძღვანელოების წინააღმდეგ, ჩაუვარდათ პოლემიკა, იაკობმა ძალიან გალოცხა კეზელი, ამაზე ზემოთაც არის ნათქვამი; მაგრამ კეზელმა მაინც არ მოისვენა. გაარჩია იაკობის საბავშო საკითხავი კრებული „კონა“ და უწოდა როგორც ამ კრებულს, ისე სხვა სახელმძღვანელოებს უნიჭოდ და უგვანოდ შედგენილი კრებულები. აბა იაკობის ტემპერამენტი როგორ მოითმენდა ამას, დასწერა ცხარე წერილი „Нов. Обоз“. რედაქტორთან სათაურით: „უკანასკნელი ანდერძის აგება ბ. კეზელს“, მაგრამ ეს წერილი გაზეთმა არ დაბეჭდა. შემდეგ ეს რუსული წერილის ერთი ეგზემპლიარი იაკობმა მე გამომიგზავნა „ივერიაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ აღარა ღირდა მისი დაბეჭდვა, ვინაიდან კეზელთან პოლემიკა მხოლოდ წყლის ნაყვა იქნებოდა. ეს რუსული წერილი მე ჩამრჩა.

*

იაკობზე ზოგიერთნი ამბობდნენ ხოლმე, რომ იგი ამპარტავანი, გოროზი კაციაო. ამას ამბობდნენ, ვინც დაახლოვებით არ იცნობდა მას. მას სეირნობა უყვარდა კარგ დარში, ისე სხვა დროს, გაფრთხილებული იყო, გაცივებისა ეშინოდა, ისედაც სულ ავადმყოფად გრძნობდა თავსა. სიარულის დროს თავაღებული დადიოდა და ამაყი შეხედულება ჰქონდა. შეიძლება ამ მისმა ამაყმა შეხედულებამ დაარწმუნა ზოგიერთნი მის ამპარტავნება-გოროზობაში. იაკობი ცხოვრებაში მდაბიო კაცი იყო, უყვარდა საჭირ-ბოროტო საგნებზე ლაპარაკი, უყვარდა სადილზე შექცევა, ლხინი, სიმღერა. ერთს ზაფხულს აგარაკად იყო სურამში; ვეწვიეთ მე და ვანო მაჩაბელი, სურამში შეგვხვდა აკაკი და არისტო ქუთათელაძე. იაკობს ძალიან გაეხარდა; გაგვიმართა სადილი ფონას სადგურთან, მშვენიერს ჭალაში; ფონა არის საზღვარი ამერ-იმერეთისა; მაშინ რკინის გზა ფონაზე მიდიოდა. სადილზე ბევრი ვილხინეთ; „მრავალ-ჟამიერის“, „კურდღელას“ და სხვა სიმღერებს თვით იაკობი იწყებდა და ჩვენ მოძახილს და ბანს ვეუბნებოდით. ჩვენს ოცნებას საქართველოს მომავალ ბედზე საზღვარი არ ჰქონდა. ყველა, ღვინისაგან ცოტა შეხურებულნი, ვწინასწარმეტყველობდით სამშობლოს დახსნას რუსეთის მონარქიის ბრჭყალებიდან. იაკობს წარამარა ლაპარაკი არ უყვარდა; მისი სიტყვა, მისი აზრი, მისი ფიქრი მუდამ თავს დასტრიალებდა სამშობლოსა, რომლისადმი მისი სიყვარული უსაზღვრო იყო. რასაც შოულობდა და პოულობდა, რაც კი შემოსდიოდა სახელმძღვანელოებიდან სულ საქველმოქმედო საქმეს ანდომებდა. იაკობზე ამბობდნენ ნათესავებისადმი გულცივიაო, მაგრამ ტყუილად — პირიქით იგი არც ნათესავებს ივიწყებდა: ძმის და დისწულები დაზარდა სასწავლებლებში თავის ხარჯით, ხელს უმართავდა გაჭირვებულ ქართველ სტუდენტებსა, ასე განსინჯე, ძმის და დის სიძეებსაც კი არ ივიწყებდა: რამდენიმე წერილი მომწერა, რომ იმის მღვდელ სიძისათვის ჯამაგირი დამენიშვნებინა (სინოდალურ კანტორის მდივნად ვიყავ და ჯამაგირების დამნიშვნელ კომისიაში წევრად ვითვლებოდი), მანამ დამატებითი ჯამაგირი არ დავუნიშნეთ, არ მომეშვა.

1910 წ. მარტში მე იძულებული ვიყავი სამსახურისათვის თავი დამენებებინა, ვინაიდან ექსარხოს ნიკონის სიკვდილისა გამო რაღაც ცილები დამწამა გულქვა ეპისკოპოსმა გრიგოლმა, რომელმაც სინოდს დამასმინა. დიდს გაჭირვებაში ჩავარდი ცოლშვილით დატვირთული. აი აქ მე ძმური ნუგეში და შემწეობა მომცა იაკობმა, ამიჩინა კერძო-კერძო საქმეები, მაძლია თავისი სახელმძღვანელოების კორექტურა და ასე იოლად გამოვდიოდი. მირჩია, სათავად-აზნაურო ბანკში ითხოვე ადგილიო. საუბედუროდ ჩემდა, მაშინ ილია აღარ იყო ცოცხალი და მაშინდელი გამგე ანტონ ფურცელაძე ჩემზე უგულოდ იყო და ხმაც დამიყარა, რომ დიდი შეძლება აქვსო. ეს რომ იაკობმა გაიგო, გულმა არ მოუსვენა და შეხვედრის დროს ანტონს საყვედურით მიმართა.

1911 წ. თებერვლის 1-ს წერილი გამომიგზავნა, რომელშიაც მწერდა, რომ ჩვენს ხალხს ერთი ყოველ წლიური გამოცემა აკლიაო — სახალხო კალენდარი. იკისრე ამ კალენდარის შედგენა და გამოცემა, მე ნივთიერად დაგეხმარები და ხელმძღვანელობასაც გაგიწევო. ქაღალდს გამოგატანინებ საიდანაც ემჯობინება, თავმდებად დაგიდგებიო. მირჩევდა გადამეკითხა რუსული სახალხო კალენდრები, უფრო კი მირჩევდა კალენდარს გორდუნოვ-პოსადოვისას, რომელიც მიმდევარი იყო და არის განსვენებულის ტოლსტოისაო. მე სხვა საქმეები გამიჩნდა და ვერ შევძელ იაკობის სურვილის შესრულება.

აი ასეთი კეთილი და მზრუნველი იყო იაკობი ყველა გაჭირვებული ქართველი მოღვაწისათვის. თვით უცოლშვილოთ, უოჯახოთ გადაეგო, თავისი ყოველი ქონება და ცხოვრება დაუტოვა ქართველ საზოგადოებას. იგი გარდაიცვალა ქ. ტფილისში, მთაწმინდის ერთს უბანში, 1912 წ. თიბათვის 1 დღესა, დიდი ავადმყოფობის შემდეგ, უკვე მოხუცებაში.

**სოფრომ მგალობლიშვილი.**

## ჩვენს პოეტებს

ვინც კი დამწვარხართ პოეზიის მზიური მადლით,
ყველა მჟყვარხართ განურჩევლად, მარჯვნით თუ მარცხნით.
(ზოგი თქვენგანი ალმაცერად თუმც დამცქერს მაღლით.
ვიცი: უნდილი ამაყობა თავდება მარცხით).

დიახ, მიყვარხართ, ლამაზებო, ვით ცის ლამპარი...
თქვენც შეიყვარეთ ერთმანეთი ჭაბუკურ გზნებით:
დე იყოს ჯიბრი, მაგრამ ჯიბრი ტრფობით გამთბარი
და პაექრობა წინსვლის ჟინით ნაჩუქურთმები.

ცხოვრებას ბევრი ბილიკი აქვს და ხვეულები.
ამ იდუმალ გზებს გავყვეთ ჩუმად, ვით ტალღებს გედი.
ჩვენ ხომ მსოფლიოს უცაბედი ვართ წვეულები,
გეზიც ერთი გვაქვს: უნდა ვნახოთ პარნასის ქედი.

მაშ, პარნასისკენ!.. ჰო, იქ ასვლა ფრიად ძნელია,
როგორც გარღვევა ეკალ-ნარის შიშველი მკერდით;
ბევრი ჩვენგანი ფეხს მოიტეხს, უეჭველია,
მაგრამ ვინც ავა, — ნეტარებდეს რუსთველის გვერდით!

**ვ. რუხაძე.**

## საყვედური ბიძას

კოპალას ქვანი ატირდენ,
აფხუშოს „მუხა-იფნები“,
შენს ამბავს ყველა გაკვირდენ,
კლდესაც მოსცვივდა ჯიქნები.
შურთხივით თვალწინ გაგვირბენ,
იბღავლებს ხსოვნის თიკნები,
სხვაც ბევრი გაგვინადირდენ,
შენაც თუ ასე იქნები!

ბედსა მე ამით ვიწყევლი,
მაძღარი სიმამაცითა, —
მიკვირს სიშმაგე ფიცხელი,
მუშტის მოქნევა ცაცითა,
სამტერო გულის სიცხელით
„შვიდი რვა ხმალი გაცვითა“
და შემდეგ თავის მკიცხველი
დაბრუნდე სიავკაცითა!?!.

რად შესვი გველის ძალარი
სხვა გვარის განსაკუთრებით,
მინდიას თვალით და ლარით
შორს დასდგი დასაყუდრები,
თუ კი მზზინავი დოლარი
გაგცვლიდა ბრმა საჩუქრებით! —
ჩამოგლეჯილის ოლარით
ძმის მკვლელსა ნუ ემუქრები;
ნიშს გითვლის ნისლში მწოლარი
მოკლულთა შველთა ნუკრები...

მართლა რა მკრთალნი ყოფილან
სულნი სატრფოსა მსიძაო,
საფლავსა დაფნი მოგივლონ
რომ აღარ გიჯობს ბიძაო!
ამბობ: დღეს გავხდი მე ფილონ,
სიბერით გამელვიძაო:
თავისა უკმაყოფილო,
სხვათა სიკეთეს მფიცაო!

ბეწვისა ხიდსა აფეთქებ,
ნაცარსა თავზე დაითოვ,
დოსა და მხალსა გაგვითქვეფ,
რომ დავრჩეთ უმუშაითო? —
სხვა იყო რაც წინ აგვითქვი,
და სული ალმა გაგვითბო;
ნუ თუ არ სჯობდა რაკი სთქვი
ნახშირიც ჩვენთვის დაგეთმო!?.

ღალატი, უწამლო სენი,
შიშისა ნალოკი გული,
„წიწოლა“ ვერ ჩამოვხსენით
ვაჟაის ჩამოკიდული...

მურყნისა ტოტზე დანდობით
გძელდება, არა მოკლდება,
ფეხს იდგამს მისი ლანდები,
ახალ მთვარეზე ცოცხლდება...

მისგან ვერ გვიხსნის შელოცვა,
ვერც გამძლეობა ყოფილი:
ნამუსის ქედი ჩამოწვა,
ქვეშ მოიტანა სოფელი!

**ვ. ტუქსიშვილი.**

## უთანაგრძნობლად

დღემდე მეგობრად ვინც მომეჩვენა
სუყველას უნდა ამიბას თვალი,
ცალკე მეტყვიან: — გამოგვყევ ჩვენა,
სხვა მოგატყუებს — მე ვარ მართალი...

ყველამ მიმტყუნა, მინდა შევკივლო,
მაგრამ ვის ვეტყვი: „მიშველეთ ძმებო!“
წარსული ტანჯვა ვილას შევჩივლო,
ან მომავალზე ვის ვეოცნებო?!

როგორც იესოს სატანამ ტყეში,
თქვენც სულის საზრდოთ მომეცით მე ქვა,
და ისე ჩავალ აქედან ბნელში,
რომ ველარ ვიტყვი რაც უნდა მეთქვა.

**ბაბილინა.**

## ბენ უეზრა

მის სიცოცხლე ტანჯული ამ ქვეყნიურს არ ჰგავდა
და ხანგრძლივი წამება მგოსნის მიერ შეჩვენდა.
გრძელ სიზმარში ცხოვრება შთაინთქა და გათავდა.
მთელი მისი სიცოცხლე იყო მხოლოდ ლეგენდა!
ოცნებობდა მგოსანი თეთრი დღის დაღამებას...
გაუთხოვეს მას სატრფო, მოაცილეს თავიდან.
მას შემდეგ ის შეეპყრო მწუხარება წამებას
და ვერ დასცხრა, როცა ის პორტუგალეთს წავიდა.
სიყვარული სტანჯავდა, დაჰყვებოდა მას თანა.
ვერ უშველა მგზავრობამ და ეწოდა მას სული.
ლანდი მარად დასდევდა: სატრფოს ლანდი, სატანა.
ყველგან თვალწინ მას ედგა: თავისი ძმის ასული.
მგოსნის სევდა და დარდი გახდა ათასნაირი,
ტრაღედია, რომანი ერთმანეთში ნარევი...
ესპანია. ეგვიპტე. გერანადა. კაირი.
ყველგან ჰკვნესდა, როდესაც გაემგზავრა ჰალევი.
ცაში იწყო ნავარდი, ოცნებებში თარეში.
უცხოეთი მგოსნისთვის იყო ჩიტის გალია.
მტრედის ფრთებზე ნატრობდა: „წავალ ალთქმის მხარეში,
საცა მოკვდა ჰალევი, საცა სული დალია“.
მაგრამ მგოსანს არ ძალუძს, არ შესჩივლოს გამსახველს
უბედობა თავისი თავის გულში ჩაჭკეტოს
და ხმა მაღლა წარმოსთქვამს დაუშრეტელ ამ ნაღველს:
„ახლა ნეტავ რაღა ჰქნას, ახლა რაღა აკეთოს“?
ის ყოველმხრივ იტანჯა... იყო ღონე მიხდილი:
უთვალავი ბენ უეზრას ჰქონდა დარდი, ვარამი.
იყო მისი იმედი: მოხუცობა, სიკვდილი,
ბედისწერის სიმკაცრის დამხატველი კალამი.
„მსურს ვიშოვო მეც ლუკმა, ლუკმა პური ხალხური.
სამსახურს ვთხოვ მეც თავადს, მშიერი ვარ მარადი.
და გამოდის უეცრად სამ პასუხით მსახური:
— დრო არაა, — სეირნობს, — არ ამდგარა თავადი.
„და დავიწყე ვაჭრობა. გული ლხენით ატოკდა.
ვსთქვი რომ ახლა მეშველა და დარდები განელდა.
მკვდრის ზეწრებით დავიწყე. აღარავინ არ მოკვდა.
დავასრულე სანთლებით, რადგან აღარ დაბნელდა“...
ოცნებობდა დასასრულ თეთრი დღის დაღამებას...
და როდესაც შეავსო, ყველაფერი გადმოგვცა,
მხოლოდ მაშინ მგოსანი დაესალმა წამებას
და თვის ბედით ჩაგრულმა სიკვდილს გრძნობით აკოცა...

**გერცელ ბააზოვი.**

# უდაბნოში

I.

ბნელა უდაბნოში... ვერანი ქარი ღმუის და ჰქრის... წყვდიადით მოცული უცნაური ღამეა... ხანდისხან ისმის შორეულ მთიდან მკრთალი ხმა... ზარის მკრთალი ხმა... უდაბნოს მოწყენილობის შავი ნისლი დახვევია... მთელ მის სავანეთში სიჩუმესთან ერთად საიდუმლოებაა გამეფებული...

მზის სხივები ოდესღაც ჰკრთოდენ უდაბნოში... ნაზი მთვარეც სეირნობდა... ალიონიც ციური ნამით ამცვარიანებდა მის მწვანე გულს... ეს იყო წინეთ და უდაბნოს მოგზაურს მაშინ არ ჰქონდა დრო და მოცალება, რომ დამტკბარიყო ბუნების ამბორით... მაშინ მოგზაური მიდიოდა სიცოცხლით სავსე ვარდებით მოფენილ გზაზე...

ეხლა ის ისევ გზაშია და მას დიდიხანია შემოაღამდა... შემოაღამდა უდაბნოში... მისი სავლელი ბილიკი ეხლა ეკალ-ნარით არის მოფენილი...

ღამეა ბნელი... საშინელი ღამეა უდაბნოში... მიდის უდაბნოს მგზავრი... მიდის მძიმე ლოდით... მიდის დაქანცული, დაღლილი, სევდიანი სახით, მწვავე ფიქრებით, საიდუმლო მწუხარებით მოცული...

გზა მისი ძნელად სავლელია... გზა მისი გრძელია...

უდაბნო მას არაფერს ეუბნება... ქარი კი დასცინის... ბუ გესლიანათ დამღერის...

მიდის... მისი გზა გაუვალია...

ვინ იცის, სად დაამთავრებს თავის გზას, სიცოცხლეს... მას უდროოდ შემოაღამდა... ბნელი ღამე ეწვია... სიმარტოვე... მძიმე ლოდით მიდის... უნდა ნახოს ახალი განთიადი... მისი ნათელი დილა... დილის ალიონზე ლამაზი დამდუმარება სადარაჯოზე.

— უდაბნოში მოვედი... ადამიანის ხმა არ მესმის!.. მივდივარ და ჯერ კიდევ თანამგზავრი ვერ მიპოვია... მგზავრობა ძნელია და ნაპირიც შორსაა... სადღაც ზარის ხმა ისმოდა და ისიც მიწყნარდა... უნდა ვიარო; ამ მძიმე ბილიკით უნდა წინ გავსწიო. ვნახავ ქვეყანას, ვნახავ ადამიანს, ვნანავ მზის სხივებს... მოვკრებ ამ უდაბნოში იმედის ცეცხლს და დავამზადებ... წყვდიადი ღამიდან, მდუმარე საიდუმლოებიდან, ტყის ფოთლებიდან დავწნავ სიცოცხლის ახალ გვირგვინს, წავიღებ მთაზე და იქ მზის ამოსვლისას მეორე ჟამს გადავსცემ, მივულოცავ...

ასე ფიქრობდა უდაბნოს მგზავრი და მწარე ფიქრებით დატვირთული მიდიოდა წინ...

II.

მას წინ გადაეჩეხა მოხუცი დედაკაცის აჩრდილი... დიდიხანია, რაც ადამიანი აღარ ენახა...

შეკრთა და ტანში ჟრუანტელმა დაუარა, შეჩერდა... დიდი ხნის დაფიქრების შემდეგ დაეკითხა:

— შენ ადამიანი ხარ, აჩრდილი თუ მოჩვენება?

— ადამიანი ვიყავი, ადამიანი იმა ქვეყნისა. — უპასუხა დედაკაცმა, რომელსაც სახე დაღვრემილი ჰქონდა, თმები გაშლილი და მის ძაძის სამოსს უდაბნოს წყვდიადი ღამე კიდევ უფრო აბნელებდა...

— საიდან ხარ? საიდან მოდიხარ? სად მიდიხარ? აქ რა გინდა?..

— დიდი ხანია თავი უდაბნოს შემოვაფარე... ვგლოვობ... დავდივარ ჩემთვის, მარტოთ...

— შენი წუხილი მესმის...

— მე წინეთ დედას მეძახოდენ, მყავდა შვილები, მიყვარდა სოფელი, ხალხი და ქვეყანა...

— განა დაჰკარგე ეგ სიყვარული?!..

— თითქმის დაბნელებულია... ოდესღაც ქვეყანა მზიანი აღარ მეალერსება... განთიადი მომშორდა... იქ ჩემს ბინაზე შავი კუბო ასვენია... ეხლა უდაბნოში ვარ... ერთხელ ვიყავი მშობელი დედა...

საყვარელი შვილების აჩრდილები არ მასვენებენ!..

— სად არის ქვეყანა შენი?..

— ქვეყანა ჩემი!.. ქვეყანა ჩემი!..

დედაკაცი დაფიქრდა... მის სახეს საშინელი ბურუსი გადაეკრა, — ქვეყანა ჩემი, მესამეჯერ განიმეორა მან და დაიკივლა...

უდაბნოს მგზავრი აკანკალდა...

— მითხარი დედა, რად ჰკივი?..

— ქვეყანა ჩემი აღარ მახსოვს... ვნახე მხოლოდ იმ დილას, მაშინ როცა თავს ცივი გვირგვინი ედო, მზეს სხივთა ზოლების არტახები შემოეკრა მისი აკვანისათვის... დილის ნიავი ნანას უმღეროდა, აღვიძებდა ახალი სიცოცხლისათვის... ყორანი კი თავს დამჩხაოდა...

— მეც მაგონდება: იყო სიხარული... ეს მოგონება თან წამოვიღე უდაბნოში...

— იმ დილას საყვარელ შვილებს განთიადმა მოუსწრო, მაგრამ ადრე დაუბინდდათ...

— ეხლა მარტოთ ხარ?..

— მას შემდეგ აღარ მინახავს დილა... აქ ვეხეტები... ცივა უდაბნოში... მზის ჩასვლას და მთვარის გაბადვრას დავესწარი... ამ უდაბნოში წამოვიღე და დავმარხე დილა და აკვანი... ქვეყანას ვეძებ... მესმოდა აქ უდაბნოში ზარის ხმა... იქით მივდივარ... ვეძებ ახალ მემკვიდრეს... მე ყველას ვეძახი: მომეშველეთ... კუბო წყნარათ იდგა, როცა გადავკოცნე, კუბოში ძილი იყო და კუბომ ჩუმად მითხრა: წადი დედა, მონახე ახალი შვილიო. მას შემდგომ ღამეში დავდივარ... საბრალო შვილები იქ დავტოვე... გუშინ წინ ნიავმა მაცნობა: ისინი იქ განისვენებენ ობლათ... განისვენებენ ტყის პირად და მათ ჰოტი დარაჯობს...

III.

მგზავრმა ღედა უდაბნოში დატოვა...

— დედა უდაბნოშია... მთვარე არსად სჩანს... აკვანი დამარხულია... ობოლ საფლავს ჰოტი დარაჯობს...

— ის მიდიოდა და ფიქრობდა. კარგახნის სიარულის შემდეგ მგზავრმა ბუჩქების მახლობლად დაისვენა. უდაბნოს პატარა ხეებს თავები დაეხარათ და სუროს ფოთლებით შემოსილნი მწუხარებით გამოიყურებოდენ...

— შენ ვინა ხარ მანდ? ძილს რად მიფრთხობ? მოესმა მგზავრს ბუჩქებიდან...

მგზავრი შეშფოთდა... ვერ გამოერკვია მხეცის თუ ადამიანის ხმა იყო... ის დაფიქრდა და კიდევ განმეორებით მოესმა ხმა.

— მე მგზავრი ვარ, უდაბნოს მგზავრი, — შემკრთალი ხმით უპასუხა მგზავრმა საიდუმლო ხმას.

— საიდან მოდიხარ? ადამიანი ხარ თუ მხეცი?!..

— ღამის მოგზაური ვარ... ადამიანათ ვირიცხებოდი... შემომაღამდა... ეხლა უდაბნოში ვარ... მივდივარ კი წინ... შენ ვინა ხარ?.. შვილი ადამიანისა თუ ტყის კაცი...

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა!.. ხი... ხი... ხი, ხი!... ვინღა ვიქნები!... ეხლა აღარავინ!... ვიყავი ხალხში... ეხლა თავი შევაფარე მთას... ვცხოვრობ ტყეში, მხეცებთან დავდივარ, მხეცებთან მძინავს და ეს ტყის ფოთლებია ჩემი საბანი. თავშესაფარი...

— დიდი ხანია ასე ხარ?

— მახსოვს მხოლოდ მთვარიანი დილა... მკრთალი ღამე... ხანმოკლე დღე და მახსოვს ხალხიც...

— მაშ ქვეყნიდან განწირული ყოფილხარ? ტყის სტუმარმა მწარეთ ამოიკვნესა და ამოიძახა:

— სუროს ფოთლები მიფარავს... ღამე სიმღერას მეუბნება... ღამის ლანდებს ვეომები... მოდი ჩემთან, ძმაო!.. მოდი, მომიყევი, რა იცი იმ ქვეყნის!..

უდაბნოს მგზავრი შემკრთალი შევიდა ბუჩქებში, მდუმარებით მიაჩერდა ტყის სტუმარს, რომელიც ეკლებში მიწოლილიყო, ძალზე გამხდარი, ძვალ-ტყავათ გადაქცეული, დაღვრემილი თვალებით ათვალიერებდა ტყეს... მხოლოდ ადამიანის აჩრდილს მოაგონებდა...

— ვერ მიცანი? — ჰკითხა მან უდაბნოს მგზავრს.

— ვერა.

— შეგიძლია წარმომიდგინო ადამიანათ?...

— ვხედავ შენს სახეს...

— ეხლა მე და უდაბური ტყის სიმღერა ერთად ვართ...

— ქვეყნათ არ გიცხოვრია, სოფელი არ გინახავს?

— იქიდან ეხლა ველური სიმღერა მესმის...

— აქ უნდა გაატარო ეკლებში!..

— აქ უნდა ვიცხოვრო... სიცოცხლის მწარე დღენი აქ უნდა დავიტირო... ყორანი აქ მიტრიალებს... წილათ მხვდა აქ ყოფნა და არა იქ. აქ იქნება გამოთხოვება... მწუხარების გამოთხოვება... ბედი ასეთია... ტიალი სულის ნება... გუშინ წინ მთიდან დარაჯი მეძახოდა... ფიქრობდა ის რაღაცას... დღეს კი ისევ ღამეა... მომენატრა წარსული... მახსოვს იქ სიცოცხლე იყო... ყველა ცოცხლობდა... აქ სიმარტოვეა... სიმარტოვეში ისმის მხეცების გალობა, დამცინავი სიმღერა... ყორანი კი ისევ თავს დამჩხავის... არ მასვენებს...

ყორანი მივლის მე და ის მდარაჯობს...

IV.

უდაბნოს მგზავრი მოშორდა ტყის შვილს...

მან დაფიქრებით განაგრძო გზა უდაბნოში და ნაშუაღამევის ნიავი ძველ ამბავს მოუთხრობდა... ის რამოდენიმე ხანში პატარა კუნძულს წააწყდა, რომელსაც სიცოცხლის სახე ედო... მხოლოდ იქაც ბნელოდა... ძველი ქვის თლილები ამკობდენ პატარა კუნძულს... ქვის სევდიანი კედლები მდუმარებით იცქირებოდენ... მგზავრი შეჩერდა და დათვალიერება დაუწყო უდაბნოს გამოქვაბულს...

მგზავრი შეჩერდა და შეშინდა... ვერ წარმოედგინა თუ ეს გამოქვაბული რას ნიშნავდა... მან შენიშნა, რომ ბნელაში ქვაზე ადამიანის აჩრდილი იჯდა... მას დაუახლოვდა და ჰკითხა:

— შენ ვინა ხარ?...

— აჩრდილი... აჩრდილი სოფლისა...

— საიდან მოხვედი?

— მე აქ ვარ... ისე კი ვიყავი შვილი სოფლისა...

— ეხლა?..

— ეხლა აქ ვარ გამოქვაბულში... იქ სოფლათ დავტოვე სიყვარული... იქ მარტოთ, ობლათ ისმის ჩემი მომავლის კვნესა, სიმღერა... მე აქ ვზივარ, ვინესტები... იქ კი არის ჩემი სიცოცხლე და სიყვარული... მე წაწყმენდილი ვარ... აქ წაწყმენდილები არიან... ფარისევლები კი იქ დავტოვე... გარემოს უვლიან ავი სულები... ბნელა... ეს გამოქვაბული უდაბნოს კუნძული... აქ სიცოცხლე იყო და არის... აქ ქაჯებთან ომი გვაქვს... სარკმელიდან კი მესმის მწუხარება, გლოვა, სიმღერა, თამაში, სიცილი... ყველა ეგ ერთად თავსდება...

სიკვდილი მოდის...

— დიდი ხანია ასე ხარ აქ?

— ეს კი აღარ მახსოვს... ვიყავი წინეთ და ვარ ეხლა... აქ იყო ჩემი ბინა, აქ არის... წავედი, მოვედი... იყო დილა და ეხლა კი ბნელა... მაგონდება ყოველივე ეს...

შენ კი ვინღა ხარ?..

— მეც მგზავრი ვარ იმა სოფლიდან — უდაბნოში...

— კარგი, მაგრამ მე რას მაწუხებ... ეღარ ხედავ თუ როგორ დავდნი... ვერ ხედავ, რომ იქ დიდი კუბოა, ცი-

ვი კუბო... ჩემი სიყვარული იქა მყავს შენახული... ეხლა მას მძიმე ლურსმანს აჭედენ... მინდა წავიდე, გადავკოცნო, მაგრამ ეს კედლები არ მანებებს... ვეძახი დედას... ვეძახი საიდუმლო ძალას... მაგრამ მაინც აქ ვარ... ეს თლილი, ძველი, საიდუმლო ამბების მოწამე ქვები მდუმარებენ... აქ მესმის დედის გოდება... მე ვისმენ... ყურს ვუგდებ...

— ცუდი ხვედრი შეგხვედრია, ცუდი... მეც ასე ვარ... დავდივარ და ვკრებ უდაბნოში საიდუმლო ფიქრებს...

— ფრიად დიდი საქმე გიკისრია... მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ მე აქ ვმარხივარ... ცოცხალი ვარ, მაგრამ მაინც დამარხული ვარ... მიყვარდა სიცელქე, სოფელი და ყველა ეს ეხლა მოგონებაა... წყნარი, მშვიდი მოგონება... დავსცინი ამ ქვებს... დამცინიან ქვები... როცა მომეწყინება აქ ცოცხლდება სიცოცხლე... მესმის ძახილი, ველოდები ძახილს...

მტრედი კი იმ ძველ სახურავზე დაფრინავს, მე და ამ გამოქვაბულს გვდარაჯობს...

V.

— აქ სძინავთ!.. აქ ძილია!..—წამოიძახა უდაბნოს მგზავრმა და თავს დააცქერდა პატარა და ვიწრო სავანეს... სავანეში სიბნელე იდგა და შიგ ნაზი ძილი გამეფებულიყო... სამუდამო ძილით შეპყრობილნი, ერთი მეორეზე დაწყობილი ძვლების ლანდები დადუმებულიყვნენ...

— აქ ძილია, მყუდრო ძილი და გვადროვეთ!—მოესმა პასუხათ მგზავრს სავანედან.

— აქ რა ადგილია!.. მე მყუდროებას არ გირღვევთ, ძილს არ გიფრთხობთ, ძმებო!

— აქ სავანეა მუდმივი ძილისა, აქ წყნარი საფლავია სამუდამო მშვიდობისა...

— აქ ერთად რათ განისვენებთ?

— აქ მოვიხადეთ ვალი... აქ ვცოცხლობდით... აქ ვიყავით... აქ წაგვართვეს სიცოცხლე... ეგ სოფელი ჩვენ გვიყვარდა... ამავე სოფლის გულში გვძინავს ყველას ერთად... გვძინავს ერთად...

— საიდან და როდის მოაწყვეთ თქვენ ეგ სავანე?

— ეს მაშინ, როცა დილამ გვილალტა... აქ ვართ მას შემდეგ... ლამაზი იყო სიკვდილი... ეხლა თავს ლოდი გვადვია... და ბნელა ჩვენს ზევით... ეკალი ამოსულა და ბალახი გაშავებულა... მწუხარების ხმა აქაც გვესმის... სამშობლოს სავანე უნდა იყოს ეს... მითხარი ჩვენს სავანეს თბილი მზის სხივები როდის ჩამოხედავს!..

— იძინეთ!.. იძინეთ!.. აქ ზევით მწუხარებაა... მე მივდივარ უდაბნოში... არ დაგივიწყებენ!..

— ჩვენს ზევით ხშირათ მხიარული სიმღერა ისმის... იციან, აქ რომ დევნილთა სავანეა...

ვინ მღერის?!.. ნუ თუ დედა აღარ არის?..

— დედა სტირის... სადარაჯოზე წავიდა, რომ გუშაგს აცნობოს განთიადის მოახლოვება... იქნება მაშინ ზარის რეკა...

— მაშ ჩვენ ვიძინებთ და გავიღვიძებთ?..

— თქვენ კი ვერა, ძმებო, თქვენი სული გაიღვიძებს...

— დღეს დუმილია... მაშინაც დუმილი იქნება, ვინ მოიგონებს ჩვენს სავანეს!.. გუშინ დილას გვესმოდა მშობლიური სიმღერა... ეს ხმა მიწყნარდა... ეხლა გედი გვივლის, გვიტრიალებს... აქ გედი დაფრინავს... გედი გვდარაჯობს...

მგზავრი მწარე სევდით, განშორდა მათ და ისევ გასწია წინ...

უდაბნოში „ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი... ისმოდა!..“ სავანეში კი კვნესა და გედის მოთქმა...

სადარაჯოზე დედის წუხილი...

გამოქვაბულში მოწყენილობის ხმა...

ბუჩქებში დაღლილის ქვითინი...

მკრთალი ზარის ხმა დრო გამოშვებით არღვევდა მდუმარებას...

და ტყეში ღამის ჰოტი მღეროდა...

ან—ჟელი.

# ახალგაზრდა მუსიკოსები

ამა წლის 4 მარტს მე-2-ე კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების პირველი ქართული მუსიკის საღამო. აღსანიშნავია, რომ როგორც პროგრამის მხრივ, აგრეთვე შინარსითაც მან მეტად დიდი შედეგები მოგვცა. ეს გარემოება ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს, რომ საქართველოში დიდი შესაძლებლობა არის ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებისა. პროგრამმა მეტად ორიგინალურათ იყო შედგენილი. ესტრადაზე პარალელურად მიდიოდა ხალხური სიმღერები უშუალოდ, გადაუმუშავებლად და შემდეგ იგივე სიმღერები სხვა და სხვა კომპოზიტორების შემოქმედების ცეცხლში გარდაქმნილნი.

გასაოცარია, როგორ შესძლო ამ საზოგადოებამ თავისი არსებობის ორი თვის განმავლობაში სრულიად ახალგაზდა და გამოუცდელ წევრებით, ასეთი დამთავრებული და ყოვლის მხრივ დამუშავებული კონცერტი მოეცა.

მე მეტს ამ კონცერტზე არაფერს ვიტყვი, კონცერტი თამამად შეიძლება ითქვას, რომ უნაკლულო და მოულოდნელი იყო.

აღსანიშნავია ამ საზოგადოების მეტად სიმპატიური განზრახვანი, და მიზნები.

საზოგადოების მიზანია მისცეს ახალგაიდა კომპოზიტორებს საშუალება, რომ მათ გადაამუშავონ ხალხური მუსიკალური ქმნილებანი და სიმღერები და ამით ისინი წაახალისონ მუშაობისათვის, შექმნას მუსიკოსთა კადრი, რომლის დანაკლისსაც დღეს ასე მწვავეთ ჰგრძნობს ქართული მუსიკა.

ქართული სიმფონიური ორკესტრის შესაქმნელად და საერთოდ ეროვნული მუსიკის გასაფართოებლად აუცილებლად საჭიროა ნიჭიერ ახალგაზდებისათვის სტიპენდიების დანიშნვა, რომ მათ საშუალება მიეცესთ მთელი თავის ძალ-ღონით მოეკიდონ მუსიკალურ განვითარებას.

აღსანიშნავია ქართულ საზოგადოების გულგრილობა: თუ ასე გაგრძელდა და ამ ახალგაზდობამ არ იგრძნო თანაგრძნობის ხელი, გასაკვირველი არ იქნება, რომ მათი აღტაცება ჩაიშმუშნოს.

ამიტომ მეტი ყურადღება და თანაგრძნობა ამ საზოგადოებას.

დ. შ.

# ქ რ ო ნ ი კ ა

**ივ. ჯავახიშვილის მოხსენება.**

ახლო მომავალში 1-ლ კონსერვატორიის დარბაზში ფართე საზოგადოებისთვის ივ. ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას მის მიერ ახლად აღმოჩენილ ხელთნაწერების შესახებ. შემოსავალი გადაიდება „ჩვენი მეცნიერების“ სასარგებლოდ.

**ქართული მუსიკის საღამო.**

2 კონსერვატორიაში კვირას, მარტის 4-ს გაიმართება ახალგაზდა მუსიკოსთა საღამო. მონაწილეობდნენ: ვ. ლორთქიფანიძე, ვენაძე, სირგილაძე, ქეთო ჯაფარიძე, ჯანაშია, თაქთაქიშვილი, თინა გველესიანი და სხვ. დირიჟორობდნენ: ელეფთერი და თაქთაქიშვილი.

**,,ზღაპარი გამაკში‘‘.**

შაბათს, მარტის 17-ს ბათომის სცენაზე კ. ანდრონიკაშვილის რეჟისორობით სცენაზე განსახიერდება ი. გრიშაშვილის ლექსი: „ზღაპარი გამაკში“.

**მშვენიერი ელენე.**

სამშაბათს, მარტის 6-ს ოპერის თეატრში კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით დაიდგა „მშვენიერი ელენე“. აღსანიშნავია: ლადო კავსაძე, მუხტაროვა, ნიროვი და დემიანენკო. დადგმა იყო ორიგინალური. ხალხი ბევრი დაესწრო.

**ახალი პიესა.**

ნ. გერგსელმა დასწერა ორიგინალური დრამა: „სუფევა ცისკართან“.

**ძმათა ადელჰეიმების გასტროლები.**

ადელჰეიმების გასტროლს ხალხი ეტანება, განზრახულია რამდენიმე წარმოდგენის გამართვა რუსთაველის თეატრშიც.

**სალიტერატურო მუშაობა სოფლად.**

სოფ. კიცხში (ზემო იმერეთში) სისტემატიურად იმართება ლიტერატურული „ოთხშაბათები“.ს. აბულაძემ წაიკითხა მოხსენება: ხალხურ პოეზიაზე, ვაჟაზე და ახალგაზდა მწერლებზე, ლ. მაჭავარიანმა: „ილია ჭავჭავაძე“, „ბესიკი“ და სხვ. ადგილობრივი საზოგადოება დიდის თანაგრძნობით ეკიდება ასეთ საღამოებს. სასურველია ჩვენი კავშირის სხვა წევრებმაც, რომელნიც საქ. სხვადასხვა ქალაქებში სცხოვრობენ, მოაწყონ ასეთი „ლიტერატურული ოთხშაბათები“.

**მსახიობთა ჟურნალი.**

მსახიობთა კავშირმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა გამოსცეს ყოველკვირეული სათეატრო ჟურნალი. რედაქტორად მოწვეულია შალვა დადიანი.

**კ. გამსახურდიას საღამო.**

საზღვარგარედ გამგზავრების წინ კ. გამსახურდია ტფილისა და ბათომში გამართავს ლიტერატურულ საღამოს.

**მასწავლებელ რუბანის გადაცვალება.**

ტფილისში გარდაიცვალა ქუთაისის საქალებო უფასო სასწავლებლის დამაარსებელი მარიამ რუბანი. განსვენებული ორმოცი წელი უანგაროდ ემსახურებოდა ამ სასწავლებელს და გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული. სასურველია ამ ადამიანის მოღვაწეობა რითიმე აღნიშნოს ქუთაისის ქალთა სასწავლებელმა.

**მსახიობ ალ ხანიანის იუბილე.**

ოთხშაბათს, მარტის 7-ს რუსთაველის თეატრში გაიმართა სომხის მსახიობის ალიხანიანის იუბილე, ალიხანიანი 25 წელია რაც სომხურ ხელოვნებას ემსახურება, იგი არაგვისპირელია, დუშეთის ხეობიდან, რომელმაც ქართული ენა საუცხოვოდ იცის. ალიხანიანი ერთხანად ქართულ სცენაზედაც გამოდიოდა ტფილისის განაპირა უბნებში. სრ. საქ. ხელოვანთა მთავარ კომიტეტის და მწერალთა კავშირების სახელით მიესალმა ი. გრიშაშვილი.

**თურქული თეატრის იუბილე.**

წელს შესრულდა 50 წელიწადი რაც ამიერკავკასიაში არსებობს თურქული თეატრი.

**უ ც ხ ო ე თ ი.**

**სარა ბერნარი.**

საფრანგეთის სახელგანთქმული მსახიობი-ქალი სარა ბერნარი მოკლებულია სცენაზე მოძრაობის უნარს; მიუხედავად ამისა მსახიობში კვლავ ღვივის აღმაფრენა და კვლავ ჰხიბლავს მსმენელთ; ამის გამო პარიზში დაარსებულ იქმნა საგანგებო თეატრი— „თეატრი მსახიობი-ქალისა, რომელიც ზის“, დრამატურგმა მორის როსტანმა სპეციალურად სარა ბერნარისათვის დასწერა ისეთი პიესა, რომელშიაც დამსახურებული მსახიობი თამაშობს ისეთ როლს, რომელიც მოძრაობას არ თხოულობს.

**ფარაონის საფლავის აღმოჩენა.**

ეგვიპტეში აღმოჩენილ იქმნა ფარაონ ტუტანკამონის საფლავი, რომელშიაც მეტად ძვირფასი ნივთები აღმოჩნდა. არქეოლოგიურ სიძველეთა ნაშთებისათვის. მით უმეტეს ღირსშესანიშნავია ეს აღმოჩენა რომ ყველა საბუთები მოწმობს: ეს საფლავი ეკუთვნის იმ ფარაონს, რომლის დროსაც მოხდა ებრაელების გამოსვლა ეგვიპტიდან.

**საერთაშორისო გამოფენა ტურინში, კინემატოგრაფიისა, ფოტოგრაფიისა და ოპტიკის.**

მიმდინარე წლის გაზაფხულზე ტურინში იხსნება საერთაშორისო გამოფენა კინემატოგრაფიისა, ფოტოგრაფიისა და ოპტიკის. გამოფენა მოთავსებულ იქნება ბეჭვდითი საქმის სასახლეში გამოფენის პროტექტორატობა მიიღო იტალიის მეფემ. საპატიო თავმჯდომარედ არჩეულია გერცოგი აოსტი.

**საუნივერსიტეტო ლექციები კინემოტოგრაფიის შესახებ.**

ამ ჟამად მიუნხენის უნივერსიტეტში იკითხება მთელი რიგი ლექციების კინო-ხელოვნების, კინო-ტეხნიკის და კინო-მეურნეობის.

**ფაუსტი ეკრანზე.**

ცნობილი გერმანელი რეჟისორი ერნესტ ლიუბიჩი ამზადებს დასადგმელად ფაუსტს. გრეტხენის როლს შეასრულებს ცნობილი ამერიკელი არტისტი ქალი მერი პიკფორდი.

**ყაჩაღები ეკრანზე.**

ბერლინელმა მსახიობმა კორტნერმა თავს იდო რეჟისორობა შილერის „ყაჩაღების“ ეკრანზე დასადგმელად.

**კინო-არქივი.**

მიუნხენში აკადემიასთან დაარსდა კინო-არქივი, ამ ერთად ერთ თავისებურ დაწესებულების მიზანია შეაგროვოს მთელი რიგი მასალების კინო-ხელოვნების შესახებ.

**სარედაქციო კოლეგია**


# ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოება.
# ბალანსი
## 1-ლ იანვრისთვის 1922 წლისა.

**აქტივი.**

| | |
|---|---|
| ს ა ლ ა რ ო | 127.082.750,—03 |
| სახელდახელო ანგარიშები | 7.560.974,— |
| ბრიტანეთის სავაჭრო კორპორაციის ბანკი | 42.053.077,—28 |
| „გარანტი ტრესტი“-ს ბანკი | 26.855.299,—10 |
| შეძენილ შავ ქვაში გაცემული ავანსები | 1.327.000,— |
| ავანსები, აქციებით უზრუნველყოფილი | 3.004.057,—98 |
| ავანსები 1920 წლის დივიდენდის ანგარიშში | 6.378.300,— |
| საზოგადოების კუთვნილი აქციები | 172.900— |
| დასაბრუნებელი ხარჯები | 92.891.861,—39 |
| შესყიდული შავი ქვა | 77.528.775,— |
| მექანიკური მოწყობილობანი და მანქანები | 9.379.333,—01 |
| მ ა ს ა ლ ე ბ ი | 39.562.867,—10 |
| უძრავი ქონება | 31.560.800,— |
| მოწყობა და გამართვა | 9.517.741,—60 |
| აქციონერებზე გაცემული განსაკუთრებული თანხები | 646.550.000,— |
| ფოთის კანტორა | 63.737.025,—65 |
| სესხი აქციონერებს | 5.123.729,—06 |
| სახელდახელო ანგარიში ჭიათურის სადგურზე | 30.000.000,— |
| რკინის გზების სამმართველო | 200.000.000,— |
| ჭიათურის კანტორა | 190.836.912,—33 |
| საზოგადოება „ჩემო“ | 176.171.000,03 |
| ანგარიშ-ქვეშ გაცემული თანხები | 24.328.757.—08 |
| დ ე ბ ი ტ ო რ ე ბ ი | 277.437.553,—43 |
| სავაჭრო სახლი „ჯავახიშვილი და კომპ.“ | 14.987.427,—86 |
| 1922 წლის ანგარიშში გაწეული საექსპორტო ხარჯები | 280.361.985,— |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | 2.384.409.926.—93 |

**პასივი.**

| | |
|---|---|
| ძირითადი თანხა | 30000.000,— |
| სათადარიგო თანხა | 371.720,—78 |
| უძრავ-მოძრავი ქონების საამორტიზაციო თანხა | 3.000.000,— |
| ამორტიზაცია იმ თანხისა, რომელიც დახარჯულია: 1) მოწყობა-გამართვაზე, 2) უძრავი ქონების შეძენაზე და 3) მექანიკურ-მოწყობილებათა და მანქანების შეძენაზე | 67.580,—90 |
| 1919 წლის მოუთხოვნელი დივიდენდი | 1.061.167,—70 |
| კრედიტორები შავი ქვის შეყიდვის ანგარიშით | 1.254.680,— |
| 1919 წლის დივიდენდის განუკვეთელი ნაშთი | 1.091,—08 |
| გარდამავალი თანხები | 497.742.381,—64 |
| ნაშთი 1919 წლის წმინდა მოგებისა | 199.022,—76 |
| კრედიტორები დასკვნითი ანგარიშით | 117.369.515,—83 |
| კ ო მ ი ტ ე ნ ტ ე ბ ი | 157.203.972,—61 |
| 1920 და 1921 წლების წმინდა მოგება | 1.576.138.793,—63 |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | 2.384.409.926,—93 |

გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე: ის. ვარაზაშვილი.

გამგეობის წევრები: პ. ფ. თოფური, ჯ. ი. აბაშიძე, მ. ი. მებუკე, ან. წერეთელი, ს. ჩიქოვანი. პ. ყიფიანი.

მმართველი ინჟ. ივ. ბერიძე.

მთავარი ბუხგალტერი რ. ღვამიჩავა.

# ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების
# გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ თანახმად აქციონერთა მე-4-ე არაჩვეულებრივი საზოგადო კრების დადგენილებისა ყველა აქამდე გაცემული საზოგადოების მიერ აქციების

# დროებითი მოწმობები

დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ითვლება გაუქმებულად.

გაუქმებულ დროებითი მოწმობების ნაცვლად სააქციო საზოგადოების გამგეობა გასცემს

# ახალ დროებით მოწმობებს

რომელთა დარიგების წესი და დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

ს. ს. გამგეობა.


ს. მ. ს. უ. ს. პოლიგრაფიული განყოფ. 1-ლი სტამბა, პლეხანოვის ქ. № 91. ნებადრთულია ლიტერატურის და გამომცემლობის მთავ. მართველობის მიერ № 109. ტირაჟი 1400